FBW 63203
სახ. საბ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობა

პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 52 (19494). ◆ შაბათი, 1 მარტი, 1986 წ. ◆ ფასი 3 კაპ.

შთამაგონებელი პერსპექტივები

პარტიისა და ხალხის მიღწევებთან, ქვეყნის მომავალთან თავიანთ უშუალო წილნაყარობას გრძნობენ საქართველოს კომუნისტები, ყველა მშრომელი. ღრმად სწავლობენ რა პარტიის XXVII ყრილობისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მოხსენებას, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა გააკეთა, ყრილობის სხვა მასალებს, რესპუბლიკის მშრომელები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, აღნიშნავენ მშობლიური კომუნისტური პარტიის უდიდეს ზრუნვას მშრომელი ადამიანისათვის, სოციალისტური სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის, ქვეყნად მშვიდობისათვის. აღმშენებლობის შთამაგონებელი პერსპექტივები, რომლებსაც ყრილობა სახავს, თითოეულს მოგვიწოდებენ მივაღწიოთ ახალ სიმაღლეებს, ახალ მიჯნებს შრომისა და ცხოვრებაში მრავალეროვანი სამშობლოს აყვავებისათვის.

სკკპ XXVII ყრილობას მნიშვნელოვანი წარმატებებით შეხვდა საწარმოო გაერთიანება „ქუთაისის საავტომობილო ქარხნის“ კოლექტივი. დაიწყო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ახალი დიზელიანი ავტომატარებლის სერიული წარმოება, დამთავრდა მისი დამატებითი საწარმოო სიმძლავრეების რეკონსტრუქცია და შექმნა.

პარტიის XXVII ყრილობის მუშაობის დაწყებისადმი მიძღვნილ მიტინგზე ავტომშენებლებმა სამშობლოს უპატაკეს საყრილობო სოციალისტური ვალდებულებების ვადამდე შესრულება: მოგვარებულია თვითსაცლელი მისაბმელების წარმოება. ყრილობის დაწყების დღისათვის ყველა საამქროს და უბანმა შეასრულა ორი თვის გეგმა.

კოლექტივს ახალი შემოქმედებითი ძალები და ენერგია შემატა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურმა მოხსენებამ, რომელიც ყრილობაზე გაკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა. ხაზი გაუსვეს რა ამას, მიტინგზე გამოსულმა ორატორებმა — საავტომობილო წარმოების დიზელის ძრავების საამქროს უფროსმა ამირან ნასარაიამ, შასის საამქროს პარტიული ორგანიზაციის მდივანმა თენგიზ კუხიანიძემ, ტექნიკური კონტროლის სამმართველოს მუშამ ლალი დანელიამ და სხვებმა მხურვალედ დაუჭირეს მხარი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკას და მოიწონეს იგი. თავიანთი კოლექტივების სახელით მათ პირობა დადეს, რომ ქუთაისელი ავტომშენებლები დამკვრელური შრომით უპასუხებენ ქვეყნად მშვიდობისათვის, მშრომელი ადამიანისათვის პარტიის ზრუნვას, ყოველ ღონეს იხმარენ ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის მოხსენებაში დასახულ ამოცანათა შესრულებისათვის.

დიდი პოლიტიკური აქტიურობის ვითარებაში გიმპართა მიტინგები მოტობლოკების, ლითოფონის, ელექტრომექანიკურ, რეზინტექნიკური ნაწარმის ქარხნებში, ქუთაისის სხვა საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში.

პასუხი — დამკვრელური შრომა

ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ

რუსთაველი მეტალურგები ყურადღებით სწავლობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მოხსენებას, რომელიც ყრილობაზე გაკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა.

განსაკუთრებით დიდი გულისყურით ვსწავლობთ მოხსენების იმ ნაწილს, სადაც ლაპარაკია სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციაზე, რომელიც უნდა მოხდეს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საფუძველზე. უნდა ითქვას, რომ აქ ჩამოყალიბებული დებულებები პირდაპირ და უშუალოდ ესადაგება ჩვენს საწარმოს. მოხსენების დებულებები ბევრს გვავალებს უშუალოდ ჩვენ, პარტიულ მუშაკებს, კომუნისტებს.

ქარხნის მეფოლადეებმა, მებრძმედეებმა, მგლინავებმა, რომლებმაც სკკპ XXVII ყრილობაზე გააცილეს თავიანთი ორი წარმომადგენელი — მეფოლადე თამაზ სანდერაშვილი და ქარხნის დირექტორი გურამ ქაშაყაშვილი, პირნათლად შეასრულეს საყრილობოდ ნაკისრი სოციალისტური ვალდებულება. წლის დამდეგიდან მათს პირად ანგარიშზეა სახელმწიფო დავალების გადაჭარბებით გამოშვებული 10 ათას ტონაზე მეტი ფოლადი, თუჯი, კოქსი, აგლომერატი, ნაგლინი, მილები და სხვა ლითონპროდუქცია. ეს წლიური გეგმის წარმატებით შესრულების საწინდარია.

ყრილობის მომდინარეობის დღეებში კიდევ მეტი მონდომებით ვეწრომოთ. პროდუქციის გამოშვების ზრდასთან ერთად უმჯობესდება მისი ხარისხიც. წარმატების მიღწევა შესაძლებელი გახდა ტექნიკური განახლებისა და მოწყობილობათა მოდერნიზაციის გზით.

სტაბილურ მუშაობას ძირითადად ხელი შეუწყო მეორე საგაზლმერაციო ფაბრიკის ამოქმედებამ, მეორე სამრძმედი ღუმლის რეკონსტრუქციამ, ფოლადთუჯსამსმელი წარმოებისა და მილქუროდამმუშავებელი ავტომატური ნაკადური ხაზის ინტენსიფიკაციისათვის ჟანგბადის სადგურის მშენებლობამ და, რაც მთავარია, კომუნისტების ავანგარდული როლის გაზრდამ, ურთიერთმომთხოვნელობის გაძლიერებამ, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის გამტკიცებამ.

გრძელდება სამუშაოები ქარხნის რეკონსტრუქციისა და სრულავტომატიზებულ საწარმოდ გადაქცევისათვის. ჩვენი ქვეყნის კომუნისტთა დიდ ფორუმს ქართველი მეტალურგები მტკიცედ მოახსენებენ, რომ როგორც წლევანდელი წლის, ისე მთლიანად მეთორმეტე ხუთწლედის დავალება პირნათლად შეასრულებენ.

რ. თხელიძე,
რუსთავის მეტალურგიული ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანი.

ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

ᲪᲐᲚᲙᲔ ბროშურად გამოვიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენება, რომელიც 1986 წლის 25 თებერვალს კრემლის ყრილობათა სასახლეში გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა.

პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობის მიერ გამოშვებული ბროშურა დაბეჭდილია მოსკოვის „კრასნი პროლეტარის“ სტამბაში. (საკდესი).

საინფორმაციო ცნობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობის მიმდინარეობის შესახებ

27 თებერვლის საღამოს სხდომაზე გაგრძელდა პარტიის XXVII ყრილობისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენებისა და სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენების განხილვა.

ყრილობაზე გამოვიდნენ ამხანაგები მ. ს. სოლომენცევი — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე, პ. პ. გრიშაკოვიჩუსი — ლიტვის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ვ. ი. ისაკოვი — ყოფილ შსუბუქი ავტომობილების საწარმოო გაერთიანება „ავტოვაზის“ გენერალური დირექტორი, პ. მაჯაკოვი — ტაჯიკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ვ. პ. ფედორეცი — სკკპ მოსკოვის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ბ. ბ. მარკოვი — სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი, ი. კ. პოლოზკოვი — სკკპ კრასნოდარის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი.

ყრილობამ შექმნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენების, სკკპ პროგრამის ახალი რედაქციისა და წესდების ცვლილებების შესახებ რეზოლუციების პროექტების მოსამზადებელი კომისია.

შემდეგ ყრილობას მიესალმნენ ამხანაგები ალვარო კუნიალი — პორტუგალიის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი, კან სენ სანი — კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ადმინისტრაციული საბჭოს პრემიერი, დიმჩე ბელოვსკი — იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის მდივანი.

• • •

1986 წლის 28 თებერვალს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობა მუშაობას განაგრძობდა.

დილის სხდომაზე კამათში პარტიის XXVII ყრილობისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენებისა და სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენების გამო მონაწილეობდნენ ამხანაგები ვ. ვ. ჩებრიკოვი — სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე, ა. ვ. ბასალიგი — ყირგიზეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ი. ი. ლობოვი — უდმურტეთის ასსრ საწარმოო გაერთიანება „იუმაჭკანის“ პარტკომის მდივანი, ს. ი. მანიაკინი — სკკპ ომსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ა. ს. სუხანოვი — „მოსკოვმეტროშენის“ № 8 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს გვირაბგამყვანთა ბრიგადირი, კ. ს. ფემირბეკი — სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ვ. ვ. მიშინი — სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი.

ყრილობას მიესალმა ამხანაგი მენგისტუ ჰაილე მარიამი — ეთიოპიის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სოციალისტური ეთიოპიის დროებითი სამხედრო ადმინისტრაციული საბჭოს თავმჯდომარე.

შემდეგ კამათში გამოვიდნენ ამხანაგები პ. ნ. დემიჩევი — სსრ კავშირის კულტურის მინისტრი, ს. ა. ბრუსუ — მოლდავეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ვ. ია. ეგოროვი — უზბეკეთის სსრ ხორეზმის ოლქის ურგენჩის სკოლა-ინტერნატის დირექტორი, ვ. ი. კალაშნიკოვი — სკკპ ვოლგოგრადის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი.

შემდეგ ყრილობას მიესალმნენ ამხანაგები გასტონ ალენსონი — საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი, ბაბრაკ ქარმალი — ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარე.

მ. ს. გორბაჩოვი ესაუბრა ე. ჰონეკერს

27 თებერვალს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი შეხვდა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს ე. ჰონეკერს, რომელიც მეთაურობს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის დელეგაციას სკკპ XXVII ყრილობაზე.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კომუნისტების, ყველა მშრომელის სახელით ე. ჰონეკერმა გულითადად მიულოცა საბჭოთა კომუნისტებს სკკპ XXVII ყრილობის წარმატებული მუშაობა, მაღალი შეფასება მისცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მოხსენებას, ხაზი გაუსვა ყრილობის საპროგრამო დოკუმენტების საერთაშორისო მნიშვნელობას.

მ. ს. გორბაჩოვმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის მშრომელები დიდი სიმპათიის გრძნობით ადევნებენ თვალს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხის შემოქმედებითს შრომას, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის XI ყრილობისათვის გაწეულ მზადებას, რომელიც რესპუბლიკის ცხოვრების დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტი უნდა გახდეს.

ორი პარტიის ხელმძღვანელებმა განიხილეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის, სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს ე. ჰონეკერს, რომელიც მეთაურობს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის დელეგაციას სკკპ XXVII ყრილობაზე.

საერთაშორისო საკითხებზე აზრთა გაზიარებისას ხაზგასმით აღნიშნეს, რომ მსოფლიოში სულ უფრო მეტად ესმით XX საუკუნის დამლევამდე ბირთვული იარაღის ლიკვიდაციის, დედამიწაზე გამალებული შეიარაღების შეწყვეტისა და კოსმოსში მისი გაუვრცელებლობის შესახებ საბჭოთა კავშირის მიერ წამოყენებული პროგრამის უდიდესი მნიშვნელობა. ამასთან მხარეებმა გამოთქვეს შეშფოთება იმის გამო, რომ არავითარი ნიშნწყალი არ არის იმისა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს სურდეს დაადგეს ბირთვული გაიარაღების გზას. ამ დესტრუქციულ პოლიტიკას მხარს უჭერს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა, რაც ართულებს სოციალისტურ სახელმწიფოებთან ამ ქვეყნის ურთიერთობას, ზარალს აყენებს ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ინტერესებს.

ხაზგასმით აღინიშნა, რომ უნდა გაძლიერონ ბირთვული საფრთხის აღკვეთისათვის მებრძოლი ყველა პოლიტიკური მიმდინარეობისა და მასობრივი მოძრაობის ძალისხმევა.

შეხვედრამ გულითადობისა და განხილულ საკითხებზე შეხედულებათა ერთიანობის ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

მ. ს. გორბაჩოვი შეხვდა არჯუნ სინგჰს

27 თებერვალს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი შეხვდა ინდოეთის ეროვნული კონგრესის (ი) პარტიის თავმჯდომარის მოადგილეს არჯუნ სინგჰს, რომელიც მეთაურობს ამ პარტიის დელეგაციას სკკპ XXVII ყრილობაზე. ა. სინგჰმა ინდოეთის პრემიერ-მინისტრის რაჯივ განდის წერილი გადასცა მ. ს. გორბაჩოვს.

ა. სინგჰმა სკკპ XXVII ყრილობას უწოდა დიდი საერთაშორისო მნიშვნელობის მოვლენა, განაცხადა, რომ ინდოეთი მხარს უჭერს საბჭოთა სამშვიდობო ინიციატივებს, რომელთა მიზანია მასობრივი მოსპობის იარაღის სრული ლიკვიდაცია XX საუკუნის დამლევისათვის.

მ. ს. გორბაჩოვმა მაღალი შეფასება მისცა პოზიციურ როლს, რომელსაც ინდოეთი — დიდი ქვეყანა, მიუმხრობლობის მოძრაობის აღიარებული ლიდერი — ასრულებს თანამედროვე, რთულ საერთაშორისო ვითარებაში.

მხარეებმა გამოთქვეს მისწრაფება განავითარონ და გააღრმაონ საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ნაყოფიერი ურთიერთობა მშვიდობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების მტკიცე საფუძველზე — საბჭოთა და ინდოელი ხალხების, აზიისა და მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და უშიშროების საქმის ინტერესებისათვის.

მ. ს. გორბაჩოვმა გულთბილი სალამი შეუთვალა ინდოეთის პრემიერ-მინისტრს რაჯივ განდის. (საკდესი).

საუბარი კრემლში

27 თებერვალს კრემლში ერთმანეთს შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ი. რიჟკოვი და მპლა-შრომის პარტიის თავმჯდომარე, ანგოლის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტი ჟოზე ედუარდუ დოშ სანტუში, რომელიც სათავეში უდგას სკკპ XXVII ყრილობაზე წარმოგზავნილ ანგოლის პარტიულ დელეგაციას. შეხვედრაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ჰ. ა. ალიევი და მპლა-შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი პაშუალ ლუვუალუ.

გულთბილი ამხანაგური საუბრის დროს ჟოზე ედუარდუ დოშ სანტუშმა აღნიშნა სკკპ XXVII ყრილობის დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა, თქვა, რომ საბჭოთა ხალხის მიღწევები, ყრილობის მიერ დასახული საბჭოთა კავშირის განვითარების პერსპექტივები ფრთას ასხამს ყველას, ვინც იბრძვის მშვიდობის, ეროვნული და სოციალური პროგრესისათვის, იმპერიალიზმის წინააღმდეგ. ანგოლის ხელმძღვანელმა გამოთქვა რწმენა, რომ საბჭოთა სამშვიდობო წინადადებების განხორციელება, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის 1986 წლის 15 იანვრის განცხადებაშია ჩამოყალიბებული, ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მოხსენებაში წამოყენებული გეგმის რეალიზაცია, რომლის მიზანია შეიქმნას საერთაშორისო უშიშროების ყოვლისმომცველი სისტემა, შესაძლებლობას მოგვცემს ძირეულად გავაჯანსაღოთ საერთაშორისო ვითარება, ერთხელ და სამუდამოდ მივუღოთ ბოლო ბირთვულ იარაღს.

ნ. ი. რიჟკოვმა განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია უცვლელი სოლიდარობით ეკიდება მპლა-შრომის პარტიის ღონისძიებებს, რომლებიც ემსახურება ანგოლის დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის განმტკიცებას, ახალი თავისუფალი საზოგადოების აშენებას. მან დაგმო ანგოლის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ აგრესიისა და ჩარევის პოლიტიკა, რომელსაც ატარებენ სამხრეთ აფრიკის რასისტული რეჟიმი და იმპერიალისტური ძალები ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობით. ხაზგასმით აღინიშნა, რომ ანგოლელ ხალხს, რომელიც ვაჟკაცურად იცავს განვითარების არჩეულ გზას, კვლავინდებურად შეუძლია ანგოლის საბჭოთა კავშირის მტკიცე მხარდაჭერის იმედი.

საუბრისას განიხილეს სხვადასხვა დარგში საბჭოთა კავშირ-ანგოლის თანამშრომლობის შემდგომი გაფართოების საკითხები.

გაიმართა აზრთა გაზიარება ზოგიერთ საერთაშორისო საკითხზე, კერძოდ, სამხრეთ აფრიკაში შექმნილი მდგომარეობის გამო. შეხვედრის მონაწილეებმა სოლიდარობა გამოუცხადეს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად სამართლიან ბრძოლას, რომელსაც ნამბიისა და სამხრეთ აფრიკის ხალხები ეწევიან სვაპოსა და აფრიკელთა ეროვნული კონგრესის ხელმძღვანელობით. (საკდესი).

ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲔᲑᲘ — ᲡᲙᲙᲞ XXVII ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐᲡ

ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝ ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲔᲑᲝ!

ჩვენ, ლენინური პარტიის ვეტერანები — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტთან შექმნილი ძველ ბოლშევიკთა ისტორიულ-ლიტერატურული გაერთიანების წევრები, გულწრფელად და გულთადად მოგესალმებით თქვენ, საბჭოთა კავშირის მრავალმილიონიანი კომუნისტური პარტიის ისტორიული XXVII ყრილობის დელეგატებს, და სულითა და გულით გისურვებთ უდიდეს წარმატებებს მუშაობაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ყრილობა შეაჯამებს პარტიისა და ქვეყნის მიერ საანგარიშო პერიოდში გაწეულ მუშაობას, დაამტკიცებს პარტიის პროგრამის ახალ რედაქციას და მისი წესდების ცვლილებებს, სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებებს. ეს დოკუმენტები მკაფიოდ განსაზღვრავენ პარტიისა და მთელი საბჭოთა ხალხის საქმიანობის მიმართულებას ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა საფუძველზე, კომუნისტური პერსპექტივის გათვალისწინებით.

მილიონობით საბჭოთა ადამიანი — კომუნისტი და უპარტიო განსაკუთრებული აქტიურობით და დაინტერესებით მონაწილეობდა ამ დოკუმენტების განხილვაში, მათ ახალი ძალით გამოავლინეს შეგნების მაღალი იდეურ-პოლიტიკური დონე, პარტიის რიგების მონოლითური შეკავშირება, პარტიისა და ხალხის ურღვევი ერთიანობა.

თქვენს განსახილველად წარმოდგენილი დოკუმენტები ნათლად ასახავენ პარტიის პრინციპული დებულებების მემკვიდრეობითობას და ამასთან მის შემოქმედებითს და ნოვატორულ მიდგომას თეორიისადმი. მთელი მათი შინაარსი, ისევე როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის საქმიანობა, გამსჭვალულია მართლაც ლენინური ზრუნვით ჩვენი პარტიის, თითოეული კომუნისტის როლისა და ავტორიტეტის გაძლიერებისათვის, მილიონობით საბჭოთა ადამიანის ინიციატივისა და შემოქმედებითი აქტიურობის გაშლისათვის.

პარტია გაბედულად და გადაჭრით ამხილებს ნაკლოვანებებს, იყენებს თავის ნაცად იარაღს — კრიტიკასა და თვითკრიტიკას, აკონებს და ცხადყოფს თავის დარაზმულობასა და ბრძოლისუნარიანობას, თავის რევოლუციურ ხასიათს, და სწორედ ეს მიგვაჩნია მის ერთგულებად ლენინის ანდერძისა და ტრადიციებისადმი.

პარტია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ყოველმხრივი დაჩქარების კურსს დაადგა. ამ სტრატეგიის უმაღლეს მიზანს, როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმზე აღინიშნა, წარმოადგენს ის, რომ განუხრელად გავაუჯობესოთ ხალხის კეთილდღეობა საბჭოთა ადამიანების ცხოვრების ყველა მხარე, ხელსაყრელი პირობები შევუქმნათ პიროვნების სრულყოფას. ადამიანებისადმი დამოკიდებულება, მათი კეთილდღეობისათვის ზრუნვა, ხაზგასმით აღინიშნავს ლენინური პარტია, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტიკის მთავარი საკითხია.

საბჭოთა ქვეყნის აღმშენებლობითი გეგმების მიზანდასახულობას განუყოფლად უკავშირდება ჩვენი პარტიის მშვიდობისმოყვარეული საგარეო-პოლიტიკური მისწრაფებანი. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მთელი საქმიანობა საერთაშორისო ასპარეზზე რწმენასა და იმედს უნერგავს მილიონებს. სოციალისტურ ქვეყნებთან, კეთილი ნების ყველა ადამიანთან ერთად საბჭოთა კავშირი დაუცხრომლად იბრძვის საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღებისათვის ბირთვული კატასტროფის თავიდან აცილებისათვის, დედამიწაზე მშვიდობის შენარჩუნებისათვის.

საბჭოთა ხალხი პლანეტაზე და კოსმოსში მშვიდობის ქომაგია.

ეშმარიტი ჰუმანიზმით არის გამსჭვალული საბჭოთა კავშირის ახალი სამშვიდობო ინიციატივები, რომელნიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვის გაცხადებაშია წამოყენებული. მათში ჩამოყალიბებული მასობრივი მოსპობის ყველა სახეობის იარაღის ლიკვიდაციის კომპლექსური პროგრამა ერთხელ კიდევ თვალნათლივ ცხადყოფს, რომ სოციალიზმი და მშვიდობა განუყოფელია.

ლენინური პარტია კომუნისტური აღმშენებლობის ახალ მიჯნებს სახავს. ჩვენ დიდი გეგმები გვაქვს, ისინი ეფუძნებიან მყარ საძირკველს, ძლავრ ეკონომიკურ, სამეცნიერო-ტექნიკურ, სულიერ პოტენციალს, რომელიც საბჭოთა ხალხის გმირული შრომით შეიქმნა. ამ გეგმების ბედს საბოლოო აგარიშით შრომითი კოლექტივები, აქ მომუშავე ადამიანები გადაწყვეტენ. და ეჭვი არ არის, რომ საბჭოთა ადამიანი თავის სამუშაო ადგილზე ყველაფერს იღონებს, რათა ეს გეგმები შესრულდეს. რათა ჩვენი სამშობლო გზდეს კიდევ უფრო ძლევამოსილი, ხოლო მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესის საქმე პლანეტაზე მტკიცდებოდეს და იმარჯვებდეს.

ჩვენ, პარტიის ვეტერანები, სკკპ XXVII ყრილობას აღუთქვამთ, რომ მთელ ძალ-ღონეს, ცოდნასა და გამოცდილებას მოვახმართ პარტიის საპროგრამო მიზნებისა და ამოცანების, მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკის შინაარსის ფართო განმარტებასა და პროპაგანდას. ჩვენ კიდევ უფრო აქტიურად მივიღებთ მონაწილეობას კომუნისტურ მშენებლობაში, ახალგაზრდა თაობის აღზრდაში, რომელსაც XXI საუკუნეში ცხოვრება და შრომა ელის. ჩვენ ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა ჩვენი პარტიისა და ხალხის ისტორიული გამოცდილება, გმირული რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციები ყოველმხრივ ემსახურებოდეს კომუნისტური მშენებლობის ამოცანათა გადაწყვეტას. პარტიის ვეტერანები ბოლომდე მოიხდიან თავიანთ ვალს.

გაუმარჯოს საბჭოთა ხალხს — მშრომელ ხალხს, აღმშენებელ ხალხს!

დიდება დიდი ლენინის პარტიას.

მ. მ. გორგაძეები (სკკპ წევრი 1911 წლიდან); ა. პ. მაურინა, ს. ბ. ხოდაკოვა (სკკპ წევრები 1912 წლიდან); ა. ა. ჩუდინოვა, ე. რ. ლევიტასი (სკკპ წევრები 1914 წლიდან); მ. მ. კონსტანტინოვი (სკკპ წევრი 1915 წლიდან); ს. ა. ბარბაშევა, ი. ი. ბორდოვენი, ა. შ. გორკინი, ა. ი. კოლაკოვი, ც. ი. ლუსკინა (სკკპ წევრები 1916 წლიდან); ა. ა. ვართანიანი, ე. ი. ვორონოვიჩი, დ. მ. ლობინოვი, ა. ი. ნაბოკოვი, ა. ს. ტენიხინა, ი. მ. ფედიაევი (სკკპ წევრები 1917 წლიდან); ა. ა. ბარგაზოვი, ა. ი. ეგოროვი, მ. ე. სანინი, ვ. ა. სერიობინი (სკკპ წევრები 1918 წლიდან); ა. ბ. ივანოვი, ვ. ს. კრასულინი, ა. ა. ბულეევი, ა. ლ. ნოვიკოვი, ნ. მ. კულკინი, ა. ვ. რიეოვი, ა. მ. შუვალოვი (სკკპ წევრები 1919 წლიდან); პ. ლ. კოტელნიკოვი, ი. პ. ლოპუხოვი, ნ. ნ. მინაკინ, რ. ა. ჩერნიახოვსკი (სკკპ წევრები 1920 წლიდან); ი. ვ. ბაბაუშკინი, ა. ვ. გულაგოვი, ლ. ა. კაბარანოვა (სკკპ წევრები 1921 წლიდან); დ. ს. ლებედევი (სკკპ წევრი 1923 წლიდან); ვ. დ. სტროევი (სკკპ წევრი 1924 წლიდან); ს. ა. მაკაროვნოვი (სკკპ წევრი 1925 წლიდან); ა. ა. ვეტროვი, ლ. ვ. გროგოვი, ვ. ვ. კალიკინი, ნ. ი. მინინი, ი. პ. ტურჩინი, ნ. დ. უნდასოვი (სკკპ წევრები 1926 წლიდან); ზ. ი. მურატოვი, ნ. ი. კლოტნიკოვი, ა. ა. ფურიგინი (სკკპ წევრები 1927 წლიდან); ა. ს. ვლასოვი, ვ. ა. საენკო (სკკპ წევრები 1928 წლიდან); ვ. ვ. ფავორსკოვი, ა. ვ. რეიკოვი (სკკპ წევრები 1929 წლიდან); ვ. ნ. ნოვიკოვი (სკკპ წევრი 1936 წლიდან) და სხვ.

წერილს ხელი მოაწერა 1026 კაცმა.

ᲒᲣᲚᲘᲗᲐᲓᲘ ᲛᲘᲚᲝᲪᲕᲔᲑᲘ

ᲡᲙᲙᲞ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ ვიეტნამის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ფამ ვან დონგს გაუგზავნეს დეპეშა, რომელშიც გულითადად მიულოცეს დაბადების ოთხმოცი წლისთავი. მისალმებაში ამხანაგ ფამ ვან დონგს უსურვებენ ჯანმრთელობასა და მოღვაწეობაში წარმატებებს.

• • •

ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲝᲜᲘ მოძრაობაში აქტიური მონაწილეობისათვის, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის ძმური მეგობრობისა და თანამშრომლობის განვითარებისა და განმტკიცების საქმეში დიდი დამსახურებისათვის და დაბადების ოთხმოც წელთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ვიეტნამის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი ფამ ვან დონგი დაჯილდოვა ოქტომბრის რევოლუციის ორდენით. (საკდესი).

ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

ᲪᲐᲚᲙᲔ ბროშურად გამოვიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენება, რომელიც 1986 წლის 25 თებერვალს კრემლის ყრილობათა სასახლეში გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა.

პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობის მიერ გამოშვებული ბროშურა დაბეჭდილია მოსკოვის „კრასნი პროლეტარის“ სტამბაში. (საკდესი).

ყრილობის დღიური

27 თებერვლის

დილის სხდომა

პრეზიდიუმი ცელინოგრადის ოლქის ამანგელდის სახელობის საბჭოთა მეურნეობის ტრაქტორისტი **ნ. ვ. ბელეტრი.** მთელი მისი ბიოგრაფია ყაზახეთის ველებთან არის დაკავშირებული. აქ დაიბადა და აქ გაიზარდა იგი, აქ ეზიარა მიწათმოქმედის შრომის ბედნიერებას და სიხარულს და აგერ უკვე 17 წელიწადია მძლავრი „კიროვეც“ ტრაქტორით ამუშავებს ნაყამირალ მიწას. ჩვენ განსაკუთრებით გვახარებს, თქვა დელეგატმა, რომ პარტიის ცენტრალური კომიტეტი, როდესაც კომუნისტური მშენებლობის პასუხსაგები ამოცანების გადაწყვეტის ახალ გზებს ამუშავებს, ნიადაგ ეთათბირება მშრომელებს, ეყრდნობა მათს აზრსა და გამოცდილებას.

ქალაქ ცელინოგრადში გამართული სკკპ ცენტრალური კომიტეტის თათბირის დებულებანი აგრარული პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე ჩვენთვის, სოფლის მშრომელებისათვის მოქმედების საბრძოლო პროგრამა, ჩვენი მუშაობის ზუსტი ორიენტირი გახდა.

ნაყამირალის მთავარი სიმდიდრეა პური. ქვეყანაში მთლიანად არის უზრუნველყოფილი მრავალმრივი მოთხოვნილება ამ პროდუქტზე. მოსახლეობა პურს მსოფლიოში ყველაზე იაფად ყიდულობს. და ეს ძალზე კარგია. მაგრამ აი, რა გვაფიქრებს. ერთი მხრივ, ზზრიად გვესმის შთაგონებული სიტყვები. პურსა და მიწათმოქმედის შრომას რომ გადიდებენ, მეორე მხრივ — არცთუ იშვიათად ვხდებით პურისადმი დაუდევარი დამოკიდებულების მოწმენი. საზოგადოებრივი კვების საწარმოებში, საოჯახო სუფრაზე ბევრი პური მიჰყვება ნარჩენებს. ასეთი ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლა წარმოებს, მაგრამ, მე მგონია, რომ ეს ღონისძიებანი აშკარად არ არის საკმარისი. ჩემი აზრით, საჭიროა შემუშავდეს ეკონომიკურ, საკანონმდებლო და აღმზრდელობითს ღონისძიებათა ისეთი სისტემა, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემდა ძირეულად შეგვეცვალა დამოკიდებულება პურისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტებისადმი.

ჩვენს მრავალეროვან რესპუბლიკას ხატოვნად უწოდებენ „ასი ენის პლანეტას“, თქვა შემდეგ ორატორმა. ყაზახეთის ყამირი თითქოს ის ასპარეზია, სადაც ადამიანები იზრდებიან, სადაც ყალიბდება საბჭოთა ცხოვრების წესის ყველაზე დამახასიათებელი ნიშან-თვისებები. დასავლეთში უყვართ ბევრი ლაყბობა სსრ კავშირში ადამიანის უფლებათა დარღვევის შესახებ. ჩვენი სინამდვილე ძირეულად უარყოფს ამ მონაჩმახს. მე, ეროვნებით გერმანელს, ოლქის მშრომელებმა დიდი ნდობა გამომიცხადეს და უკვე მეორედ ამირჩიეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, ხოლო კომუნისტებმა — ყრილობის დელეგატად. დიდი და მრავალეროვანია ჩემი ოჯახი, ქმარი ყაზახია, შინ სამ ენაზე, — რუსულად, ყაზახურად და გერმანულად ვლაპარაკობთ. და ასეთი ოჯახები ჩვენში მრავლად არის. ყამირს პარტიის მოწოდებით ყველა მოძმე რესპუბლიკისა და ოლქის წარმომადგენლები ტეხდნენ. განა ეს არ არის ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვება?

დღეს ყამირი მარცვლეულის, ბორცის, რძის, სხვა პროდუქციის დიდი მიმწოდებელი გახდა. ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ მიღწეული შედეგები როდი გვაძლიერებენ. მიწათმოქმედებისა ინდუსტრიული ბაზის ტემპი, მეტადრე ხარისხობრივი მაჩვენებლები არ შეესაბამება ჩვენს შესაძლებლობებს, სასურსათო პროგრამას დავალებებს. ეს კარგად გვესმის, კრიტიკულად ვაფასებთ ვითარებას და ვიოცნებთ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. მაგრამ არის საკითხები, რომელთა გადაწყვეტაშიც დახმარება გვჭირდება. ყამირზე მოსავლის ზედი დიდად არის დამოკიდებული სამუშაოთა შესრულების ვადებზე. და, რაღა თქმა უნდა, აქ ფოსს ვერ გავალთ. თუ არ გვექნა დიდმწარმოებლური ტექნიკა, უწინარეს ყოვლისა, „კიროვეცის“ ტიპის მძლავრი ენერგოგაჯერებული ტრაქტორები. ახლა ეს ძირითადი მახასიათებელი ნაყამირალის ყანებში, აღნიშნა დელეგატმა. მაგრამ, ამბანაგო ლენინგრადელებო, ტრაქტორი უნდა სრულყოთ. მას ხარისხი დაუქვეითდა, ბოლო დროს უარესად მუშაობს. შეეხო რა თანამედროვე სოფლის სულიერსა და კულტურულ მოთხოვნილებებს, ორატორმა შემდეგ აღნიშნა, რომ ახალი მიწების ათვისების დასაწყისში ლიტერატურისა და ხელოვნების ოსტატები მჭიდროდ და ნაყოფიერად თანამშრომლობდნენ მეყამირეებთან. მაგრამ უკანასკნელ წლებში ეს შესანიშნავი ტრადიცია იკარგება, ინიციატივა ქრება. დაბეჯითებით ვამბობთ სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს, თქვა დელეგატმა, რომ ჩვენმა შემოქმედებითმა კავშირებმა ალადინად და განამტკიცონ შემოქმედ მუშაკთა ძველებური ერთიანობა ყამირის მხვნელ-მთესველებთან.

ლატვიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ბ. კ. პუგომ** თქვა: როდესაც კომუნისტური მშენებლობის თეორიასა და პრაქტიკაში მარქსისტული რეალიზმის რევოლუციური დიალექტიკა გვიანდერძა, დიდმა ლენინმა კომუნისტებს მოუწოდა ფხიზლად ყოფილიყვნენ როგორც მიმდინარე მომენტის, ისე პარტიის მუშაობის სტრატეგიულ მიმართულებათა შეფასებაში. ყრილობაზე წარმოდგენილ პოლიტიკურ მოხსენებაში ბოლშევიკური ალალ-მართლობით არის ასახული დღევანდელი პრობლემების სიმწვავე.

(დასაწყისი იხ. „კომუნისტი“ № 51).

წელიწადზე ოდნავ ნაკლები გავიდა აპრილის პლენუმის შემდეგ, მაგრამ მის გეზს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ბოლოდროინდელ გადაედგა და ენერგიულ მოქმედებას უკვე გამოაქვს თავისი ნაყოფი.

ვაფასებთ რა მიღწეულს, აღნიშნა ორატორმა, ჩვენ როდი ვიწონებთ თავს საერთო დადებითი შედეგებით, რადგან ვიცით, რომ ეკონომიკაში მზოლოდ გზის დასაწყისში, პარტიული მუშაობის სტილისა და მეთოდების დიდ ცვლილებათა სათავეებთან.

1983 წელს სკკპ ცენტრალურ კომიტეტში განიხილეს ლატვიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისათვის გაწეული ორგანიზაციულ და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის შესახებ. ანგარიშის გამო მიღებული დადგენილების რეალიზაციამ შესაძლებლობა მოგვცა დარგისათვის მიგვანიშნებინა უფრო სტაბილური, დინამიკური განვითარება, ვადამდე გავსულიყავით სასურსათო პროგრამის მიჯნებზე მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების მხრივ.

კადრების ხარისხზე, მათი მუშაობის ხარისხზე, თქვა ორატორმა, დამოკიდებულია დაჩქარების საკვანძო პრობლემის — პროდუქციის ხარისხის პრობლემის გადაწყვეტა. მაგრამ საგარეო ბაზარზე ბევრი ჩვენებური ნაწარმის კონკურენტუნარიანობა ჯერ კიდევ არ შეესაბამება დღევანდელ მოთხოვნებს. სწორედ ამიტომ რესპუბლიკაში შემუშავებულია კომპლექსური პროგრამა „ხარისხი — 90“. მისი მიზანია მოკლე ვადაში არსებითად გაუმჯობესდეს პროდუქციისა და მომსახურების ხარისხი, გახდეს იგი არა მარტო მეტი, არამედ, რაც მთავარია, — უკეთესი, მივაღწიოთ უმაღლეს მსოფლიო დონეს. ბევრი ნაკლი და ხარვეზი იმის შედეგია, რომ ამ უმნიშვნელოვანეს საქმეზე ზერელედ, ზოგჯერ კი არაკვალიფიცირად მუშაობენ უწყება-სამინისტროები.

ორატორმა განაცხადა, რომ დადგა დრო ნამდვილად მოვკიდოთ ხელი მართვის, მეცნიერების ორგანოებისა და არასაწარმოო სფეროს სხვა დაწესებულებების მუშაკთა შრომის ანაზღაურების სისტემის რეორგანიზაციას, რომელიც ეყრდნობა რა ფიქსირებულ სარგოებს, ოდნავადაც არ არის დაკავშირებული მათი შრომის არც რაოდენობასთან, არც ხარისხთან და არც საბოლოო სოციალურ-ეკონომიკურ შედეგებთან.

ახლანდელ პირობებში უწყვეტრივი გადახრების დაზშული წრის გარღვევის, ყველა შრომითი კოლექტივის ძალისხმევის გაერთიანების შესაძლებლობას მოგვცემს მხოლოდ საერთო-საკავშირო კომპლექსური პროგრამა, ხარისხის მართვის მთლიანი სისტემა.

საჭიროა გადაეჭრათ ისეთი პრობლემაც, როგორიც არის მეცნიერულ-ტექნიკური ინფორმაცია. მისი სიმწირისა და არაოპერატიულობის გამო ხშირად შეუძლებელია შეიქმნა წარმოდგენა საუკეთესო მსოფლიო ან თუნდაც სამაფოო ნიმუშებზე, ხოლო ზოგჯერ დაპროექტების სტადიაშივე ვამკვიდრებთ ტექნიკურ ჩამორჩენილობას.

განსაკუთრებული მზრუნველობა გვმართებს სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხის გასაუმჯობესებლად. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ აქ ერთ-ერთი ეფექტიანი გზა რეგიონალური სპეციალიზაცია და კოოპერაცია. რამდენიმე წლის წინათ შეიქმნა ბალტიისპირეთის რესპუბლიკების, ბელორუსიისა და მოლდავეთის საკოორდინაციო საბჭო, რომლის მიზანია სამომხმარებლო საქონლის წარმოების ოპტიმიზაცია. ამის შედეგად აღარ არის საჭირო ცალკეული ნაწარმის დუბლირება, გაჩნდა მისი ხარისხის გაუჯობესების დამატებითი შესაძლებლობა.

სასარგებლო იდეას მხარი დაუჭირეს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში. მაგრამ მისი არათანამიმდევრულობის გამო შედეგი ნაკლებ მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, ვიდრე ველოდით. დარწმუნებული ვართ, რომ ამ საკითხს არა მარტო უნდა მივუბრუნდეთ, არამედ უფრო ფრთხილად უნდა წავიდეთ. საქმე ეხება ისეთი რესპუბლიკათშორისი საკავშირო-სარეწველო გაერთიანებების შექმნას, რომლებიც პასუხს აგებენ მასობრივი მოთხოვნის საქონლის წარმოებისა და გაყიდვისათვის.

ჩვენ მხარს ვუჭერთ მოხსენებაში დასმულ წინადადებას, თქვა საბჭოთა მეცნიერებმა, რომ საჭიროა მიღება კანონისა პროდუქციის ხარისხის შესახებ.

ამ საპატიო ტრიბუნიდან, თქვა დასასრულ ბ. კ. პუგომ, მტკიცედ ვაცხადებთ, რომ ლატვიელი კომუნისტები, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მებრძოლი და შეკავშირებული რაზმი, შეუპოვრად და შემოქმედებითად განგრძობენ აპრილის ცვლილებათა საქმეს და ღირსეულ წვლილს შეიტანენ ჩვენი საზოგადოების რევოლუციურ განახლებაში.

სიტყვა მისალმებისათვის ეძლევა ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს **ტოდორ ჟივკოვს,** რომელსაც გულთბილად შეხვდნენ შეკრებილნი. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ყრილობები, თქვა ორატორმა, ყოველთვის იპყრობდა მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღებას. და ეს სავსებით ბუნებრივია: თავის ყრილობებზე ლენინის დიადი პარტია სახავს განვითარების გზებს, კვალავს მთელი მსოფლიოს მომავლის გზას. ამას განსაკუთრებით ხელშესახებად გრძნობს ყველა გარდატეხის, გადამწყვეტ პერიოდებში, ისეთ პერიოდებში, როგორსაც ახლა განვიცდით.

საბჭოთა საზოგადოების მდგომარეობისა და ამოცანების ღრმა მარქსისტულ-ლენინური ანალიზი, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვის პოლიტიკურ მოხსენებაშია ჩამოყალიბებული, ყრილობის მუშაობის საქმიანი სულისკვეთება და მიმზიდველი იდეურ-პოლიტიკური მუხტი უდიდეს ოპტიმიზმს გვისახავს ყველას.

სკკპ პროგრამის ახალ რედაქციას, პოლიტიკურ მოხსენებასა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითად მიმართულებებს, რომლებსაც სკკპ XXVII ყრილობა დამტკიცებს, გარდა ამისა, რომ ახალი წვლილი შეაქვთ საბჭოთა კავშირში სოციალისტური საზოგადოების წინსვლისა და სრულყოფის საქმეში, უაღრესად დიდი მნიშვნელობაც აქვთ ძმური სოციალისტური თანამეგობრობის შემდგომი განმტკიცების, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის, მშვიდობისა და პროგრესის ძალების განვითარებისათვის.

ორატორმა დაასახელა რამდენიმე ციფრი, რომლებიც ცხადყოფს ოდესღაც ეკონომიკურად ჩამორჩენილი ბულგარეთის განვითარებას ბოლო სამ ათწლეულში. ძირითადი ფონდები გაიზარდა 10-ჯერ, სამრეწველო პროდუქციის გამოშვება — 14-ჯერ. სულ უფრო მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ელექტრონიკა. შარშან ბულგარეთის საქონლებრივმა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ ქვეყნებთან მთელი საქონელბრუნვის 78 პროცენტს მიაღწია, ამ მოცულობის სამი მეოთხედი კი საბჭოთა კავშირის წილად მოდის.

ცხოვრება გვეყენებს რთულ პრობლემებს, რომელთა გადასაჭრელად შეუპოვარი და თავდადებული შრომაა საჭირო. ერთი თვის შემდეგ სოფიაში მუშაობას დაიწყებს ბულგარეთის კომუნისტური პარტიის XIII ყრილობა, რომელიც განიხილავს და მიიღებს ქვეყნის განვითარების მეათე ხუთწლედისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებებს ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების კომპლექსური პროგრამის შესაბამისად.

ბულგარეთში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ გასული ოთხი ათწლეულის მანძილზე ბულგარელი და საბჭოთა ხალხების ძმური მეგობრობა გამდიდრდა ახალი იდეური და სულიერი კავშირურთიერთობით, რეალური კონკრეტული საქმეებით, რომლებიც ეჭვს არ ექვემდებარება და დადასტურებას არ საჭიროებს, ვინაიდან ამაზე მეტყველებს მთელი ჩვენი ცხოვრება: პარტიული, სახელმწიფო, საზოგადოებრივი, პირადი.

ბოლო ხანს ჩვენი პარტიის კურსი, რომლის მიზანია ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სულ უფრო მეტი დაახლოება მოძმე საბჭოთა ქვეყანასთან, გადადის ახალ ეტაპზე, რომელიც გულისხმობს ერთობლივი სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებების შექმნას, სულ უფრო მჭიდრო თანამშრომლობას მეცნიერების, განათლების დარგში, სხვა სფეროებში. სწორედ ეს არის დღეს ჩვენთვის მოქმედი სოციალისტური ინტერნაციონალიზმი.

ჩვენ მშვიდობა გვჭირდება. მშვიდობა და უღრუბლო ზეცა სჭირდება მთელ კაცობრიობას. ეს ურყევი სამშვიდობო ნება კვლავ ვლინდება უდიდესი ძალით თქვენი ყრილობის დარბაზში. საბჭოთა კავშირთან, ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნებთან, მთელი დედამიწის პროგრესულ და დემოკრატიულ ძალებთან, ყველა იმასთან ერთად, ვისაც სძულს ომი, ჩვენ კვლავაც განუხრელად ვიბრძოლებთ მშვიდობის, ცივილიზაციისა და პლანეტაზე სიცოცხლის შენარჩუნებისათვის.

და დაე დედამიწაზე მცხოვრებმა ყველა ადამიანმა იცოდეს: ჩვენ, კომუნისტებს, გვწამს სახელგანთქმული ზავის დეკრეტში დიდი ლენინის მიერ დასახული ერთადერთი გონივრული გზა. ამ დეკრეტს განგრძობად მიგვაჩნია საბჭოთა კავშირის ახალი ინიციატივები და მოქმედება, პოლიტიკური მოხსენება პარტიის XXVII ყრილობისადმი.

ლენინური პარტიის პოლიტიკა ხალხს ზრახვების, გულისთქმისა და იმედის ზორცშესხმაა, თქვა სკკპ ბაშკირეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **მ. ზ. შაჭიროვმა.** მან აღნიშნა, რომ მოხსენებაში შეჯამებულია საზოგადოებაში რევოლუციურ გარდაქმნათა განხორციელებისათვის და ორგანიზატორული და იდეოლოგიური მუშაობის გარდამქმნისათვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი შტაბის მრავალმხრივი საქმიანობის შედეგები, ბოლშევიკური გამჭედლობით და პატიოსნებით არის გამომქადაგებული ნეგატიური მოვლენები, რომლებიც ჩვენს წინსვლას აფერხებს.

დიდი ღონისძიებანი, რომლებიც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა განხორციელა ადამიანის ფაქტორის აქტივიზაციისა და ყოველივე იმის აღმოფხვრისათვის, რაც შეუთავსებელია საბჭოური ცხოვრების წესთან, უკვე გვაძლევს თავის შედეგებს: უფრო ჯანსაღი და სუფთა გახდა საზოგადოებრივი კლიმატი, დადებითი ძვრები ხდება ეკონომიკაში.

გამოხატავს რა ბაშკირეთის კომუნისტების, მშრომელების ნებას, ჩვენი დელეგაცია, თქვა ორატორმა, მთლიანად და სავსებით იწონებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ გეზსა და პრაქტიკულ საქმიანობას, მოხსენების დებულებებსა და დასკვნებს, აგრეთვე მხარს უჭერს წინადადებებს ომის თაობაზე, რომ მიეიღოთ პარტიის პროგრამის ახალი რედაქცია და შეცვლილი წესდება.

ორატორმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ავტონომიური რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია უცვლელად ადგას ლენინური ეროვნული პოლიტიკის კურსს. კუთხურობა, ეროვნული შეზღუდულობა, უყოჩობა შეუთავსებელია საბჭოური ცხოვრების წესთან.

ბაშკირეთის მშრომელები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, აღსავსენი არიან სამშობლოს ბედისათვის დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით, დამკვრელური შრომით განამტკიცებენ სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერებას. გააანალიზა რა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მზარდი ტემპი, ორატორმა განაცხადა, რომ არც ლენინური პარტიის ტრადიციებსა და არც დროის სულისკვეთებას არ შეესაბამება მიღწეულით დამშვიდება.

ბაშკირეთის შეუძლია აჩვენოს და კიდეც უნდა აჩვენოს თავისი წვლილი სასურსათო პროგრამის რეალიზაციაში. დიდი რეზერვები და გადასაჭრელი პრობლემებია სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითად მიმართულებებს, რომლებსაც სკკპ XXVII ყრილობა დამტკიცებს, გარდა ამისა, ახალი ფენომენია, ბაშკირეთის ავტონომიური რესპუბლიკა ბაშკირეთის ეროვნული ინიციატივებით, ეროვნული ენა, ეროვნული ფერწერა, ეროვნული ლიტერატურა, ეროვნული ფილარმონია, ეროვნული ბალეტი, ეროვნული ოპერა, ეროვნული ბიბლიოთეკა, ეროვნული ბიბლიოგრაფია, ეროვნული ენციკლოპედია, ეროვნული ფილმოთეკა, ეროვნული ბიბლიოთეკა

ყრილობის დღიური

(გაგრძელება)

ოგი პირდაპირ ვერ აკეთებს ამას, მაშინ მარიონეტების, ხალხისა და დამოუკიდებლობის საქმის მოღალატეების სამსახურს იყენებს. აფრიკის სამხრეთში ამ როლს ასრულებს რასისტული სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, რომელიც აპარტეიდის საძულველი რეჟიმის შესანარჩუნებლად განუწყვეტლივ ახორციელებს აგრესიას რეგიონის სახელმწიფოთა წინააღმდეგ.

ჩვენ ვგმობთ ამ უხეშ ჩარევას ჩვენი სუვერენული და დამოუკიდებელი სახელმწიფოს საქმეებში და ვაცხადებთ, რომ ჩვენი ხალხი იარაღით ხელში დაცვლაც მოგებერიებს პირდაპირ და არაპირდაპირ აგრესიას, რათა დაიცვას რევოლუციური მონაპოვრები, თქვა ორატორმა. ანგოლელი ხალხი, რომელიც სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რეჟიმისა და საერთაშორისო იმპერიალიზმის მხრივ განუწყვეტელი აგრესიის მსხვერპლი გახდა, დღენიადაგ გრძნობს მომმე და მეგობარი ქვეყნების სოლიდარობას. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებით მინდა გამოვყო სოციალისტური სახელმწიფოები და საწინარეს ყოველსა საბჭოთა კავშირი და კუბა. ჩვენი ხალხების ოდინდელი მეგობრობა და თანამშრომლობა მტკიცდება ჩვენი ერთიანი დამოუკიდებლობისა და სახალხო მონაპოვართა დაცვისათვის ბრძოლაში, რომლებსაც საფრთხეს უქმნიან იმპერიალიზმი და მისი ლაქიები.

ყველასათვის, ვინც გრძნობს ასურსისმგებლობას დედამიწაზე ცხოვრებისა და თვით ჩვენს პლანეტაზე სიცოცხლის შენარჩუნებისათვის, ნათელია, რომ ამ ბოლო მიზნის მიღწევის უზრუველყოფა შეუძლია მხოლოდ ერთიანობით თანაარსებობის, ხალხებსა და სახელმწიფოთა ურთიერთგაგების, ყველა იმ ხალხთან სოლიდარობის პოლიტიკას, რომლებიც კოლონიალიზმის, სიონიზმისა და რასიზმის წინააღმდეგ იბრძვიან. ჩვენ უცვლელად ვუჭერთ მხარს განიარაღებისა და ომიანობის კონსტრუქციულ პოლიტიკას, რომელსაც საბჭოთა კავშირი აბორიგელებს, მივიჩნევთ მას უმნიშვნელოვანეს ფაქტორად საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და ახალი მსოფლიო ომისაგან კაცობრიობის სასარგებლოდ.

XXVII ყრილობის შედეგები კიდევ ერთ უთვალსაჩინოებას გამარკვევად იქცევა, თქვა დასასრულ ჯონ ედუარდ დუმანტეშმა, არა მარტო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხისთვის, არამედ ყველა ხალხისთვისაც, რომელიც ცხოვრობს ეკონომიკურ ძალებისთვის, თავისუფლებისა და პროგრესის საქმე.

ლაოსის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **კეიზონ ფომვიხანმა,** რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ, ნაზგასმით აღნიშნა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მოხსენებაში ყოველ-მხრივ, ღრმად, მეცნიერულად, კრიტიკულად არის გაანალიზებული საბჭოთა კავშირში სოციალიზმის მშენებლობის პროცესი, აგრეთვე საერთაშორისო ვითარება, სკკპ პროგრამის ახალი რედაქციის პროექტში განსაზღვრულია პარტიის სოციალურ-ეკონომიკური სტრატეგიის ძირითადი მიზნები. უდიდესი მნიშვნელობა აქვს შინაპარტიული დემოკრატიის გაფართოებისათვის, მუშაობის ლენინური სტილის განმტკიცებისათვის გამიზნულ ღონისძიებებს, რათა გაიზარდოს პარტიის, როგორც საზოგადოების მაორგანიზებელი, ხელმძღვანელი ძალის, როლი. ყოველივე ამან უნდა უზრუნველყოს საბჭოეთის თვისებრივად ახალი და ყოველმხრივი განვითარება, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების საგანძურში.

ყრილობის გადაწყვეტილებებს, აღნიშნა ორატორმა, უდიდესი მნიშვნელობა ენენება არა მარტო საბჭოთა კავშირისათვის, არამედ სხვა ქვეყნებში სოციალიზმის მშენებლობისთვისაც, რეგულიური მოძძაობისა და ძალებისთვის. მან გამოთქვა რწმენა, რომ შეუპოვარი, ძლიერი და ნიჭიერი საბჭოთა ხალხი, რომელმაც მსოფლიოში პირველმა მოახდინა სოციალისტური რევოლუცია, პარტიის პროგრამას ცოცხალ სინამდვილედ ქცევას დიდი ლენინის სამშობლოში, ნელ წასწევს საბჭოთა საზოგადოებას კომუნიზმის მშენებლობის გზაზე, განამტკიცებს საბჭოთა კავშირის — სოციალისტური თანამეგობრობის, რევოლუციის ძალებისა და პლანეტის მშვიდობის ბურჯის, დამოუკიდებლობისათვის, თავისუფლებისა და სოციალისტური პროგრესისათვის მებრძოლი ხალხების საიმედო დასაყრდენის — ძლიერებას.

ორატორი შეეხო საერთაშორისო ვითარებას და ხაზგასმით აღნიშნა, რომ იგი სულ უფრო სასიკეთოდ წარიმართება ხალხების რევოლუციური საქმის, მშვიდობისათვის ბრძოლის საკეთილდღეოდ. ამავე დროს იმპერიალიზმი და საერთაშორისო რეაქცია არ აპირებენ ხელი აიღონ ძალის პოზიციის პოლიტიკაზე და სამხედრო კონფრონტაციაზე. ამერიკის ფერეთული ტაბტების ძალიტარისტული წრეები ისწრაფვიან დაიწყონ გამალებული ბრძოლა შეიარაღების ახალი ტური და ამით ზრდიან ომის საშიშროებას. აი, რატომ არის ახლა განსაკუთრებით საჭირო გაერთიანოთ მთელი მშვიდობისმოყვარე და პროგრესული ძალები მშვიდობის, კაცობრიობის ცივილიზაციის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში.

ლაოსის სახალხო-რევოლუციური პარტია, მთავრობა და ხალხი მთლიანად უჭერენ მხარს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის თანამიმდევრულ მშვიდობისმოყვარულ ლენინურ საგარეო პოლიტიკასა და საბჭოთა კავშირის აქტიურ ღონისძიებებს, რომელთა მიზანია გამალებული შეიარაღების შეწყვეტა, ბირთვული საფრთხის თავიდან აცილება, მშვიდობის დაცვა და საერთაშორისო უშიშროების უზრუნველყოფა, სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების ქვეყნების მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების განხორციელება. ორატორმა მაღალი შეფასება მისცა საბჭოთა კავშირის მტკიცე და პრინციპულ პოზიციას, საბჭოთა კავშირ-ამერიკის უმაღლესი დონის შეხვედრის, სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მოლაპარაკების დროს. მ. ს. გორბაჩოვის მიმდინარე წლის 15 იანვრის განცხადება შეესაბამება ყველა ხალხის უაღრესად დიდ და სანუკვარ იმედებს, რომლებიც ისწრაფიან თავიდან აიცილონ ბირთვული საფრთხე, იცხოვრონ მტკიცე მშვიდობის პირობებში.

ორატორმა ილაპარაკა თავის ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობაზე, მაღალი შეფასება მისცა ყოველმხრივ დახმარებას, რომელსაც საბჭოთა კავშირი უწევს ლაოსელ ხალხს. მან თქვა: საბჭოთა კავშირი იყო და კვლავ დარჩება ჩვენთვის რევოლუციური ბრძოლის ჩირაღდნად, მძლავრ დამრაზმველ ფაქტორად. ლაოსის სახალხო რევოლუციური პარტიის, თავთრობისა და მთელი ხალხის სახელით კეისონ ფომვიხანმა ულრმესი და გულითადი მადლობა გადაუხადა კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა თავთრობას, მთელ საბჭოთა ხალხს უდიდესი, მუდმივი და ყოველმხრივი ინტერნაციონალისტური დახმარებისთვის.

შემდეგ გაიმართა ყრილობის საღამოს სხდომა.

27 თებერვლის

საღამოს სხდომა

ყრილობის საქმიანი ვითარება, გულსაღიელი შემოქმედებითი დისკუსია, თამამდაფებული პრობლემებისადმი გაბედული ნოვატორული მიდგომა ყველა საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ შევიმუშავეთ სწორი, მეცნიერულად დასაბუთებული გადაწყვეტილებანი, თქვა თავის გამოსვლაში სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარემ **ვ. ს. ოლიმპიევმა.** სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის დასასრულ სტრატეგიულმა გეზმა, რომელიც ითვალისწინებს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებას, მძლავრი იმპულსი მისცა ენერგიულ პრაქტიკულ საქმიანობას. დასაბამი მიეცა ძირეულ ცვლილებებს ეკონომიკის მართვაში, წარმოების ყოველმხრივ ინტენსიფიკაციაზე გადასვლას. ხორციელდება მკაცრი ღონისძიებანი. წესრიგის დამყარებისათვის, დისციპლინის განმტკიცებისათვის, ლოთობისა და ალკოჰოლიზმის აღმოფხვრისათვის, აქტიურდება სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობა, იხვეწება სოციალური ურთიერთობის მთელი სისტემა.

პარტიამ გამოიტანა სწორი დასკვნები იქიდან, რომ დროულად და სათანადოდ არ შეფასდა ეკონომიკური სიტუაციის ცვლილებანი. უკვე 60-იანი წლების დამლევს ცხადი გახდა, რომ ექსტენსიური განვითარების წყაროები ფაქტობრივად ამოიწურა. საჭირო იყო დაუყოვნებლივ დაგვიწყო წარმოების ინტენსიფიკაცია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ბაზაზე, ამას ამბობდნენ მეცნიერები, სპეციალისტები, პარტიული და სახელმწიფო მუშაკები. სამწუხაროდ, სიიბლის გრძნობის უქონლობამ, აზროვნების ინერციამ, რაც ბევრისთვის იყო დამახასიათებელი, სწორი დასკვნების გამოტანის საშუალება არ მოგვცა.

უმთავრესად ამით აიხსნება ისიც, რომ მაშინვე დასახული სკკპ ცენტრალური კომიტეტის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საკითხებისადმი მიძღვნილი პლენუმი არ გაიმართა, თუმცა ყველა მასალა მომზადებული იყო. ამის გამო დრო დაკარგეთ, როგორ გვიჭირს ყოველთვის დრო! და მხოლოდ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის შემდეგ ეს ამოცანა დასახა სრული მოცულობით და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, აქტიურად გადადის პრაქტიკის სიბრტყეში.

ბოლო დრომდე, თქვა ორატორმა, ჯეროვნად არ აღიკვეთებოდა პარტიისა და სახელმწიფოს მოტყუება, თვალის ხმეცვის, მოჩვენებითობის ფაქტები. რა თქმა უნდა, ჩვენი კადრების დიდი უმრავლესობა მუშაობდა და კვლავ მუშაობს პატიოსნად, პასუხისმგებლობით, დაძაბულად, ბევრ რამეში მათი ძალისხმევისა და თავდადების მეოხებით წარმატებით წყდებოდა საზოგადოებრივი განვითარების რთული საკითხები. მით უფრო ვერ შევეგუებით პარტიული და სახელმწიფო ცხოვრების ლენინური ნორმებიდან გადახრის შემთხვევებს.

ყოველგვარი დეფორმაციის — კოსმეტიკატიზმის, უპასუხისმგებლობის, ბოროტმოქმედების წინააღმდეგ პარტიამ მტკიცე, უკომპრომისო ბრძოლა გააჩაღა. ძლიერდება კრიტიკა და თვითკრიტიკა, საჯაროობა პარტიული და სახელმწიფო ორგანოების მუშაობაში. ყოველივე ამას მხურვალედ იწონიან და მხარს უჭერს საბჭოთა ხალხი. თანამედროვე პირობებში, როცა დავადექით დისციპლინის, პასუხისმგებლობის, წესრიგის განმტკიცების კურსს, იზრდება კონტროლის, შესრულების შემოწმების მნიშვნელობა.

შემდეგ ორატორი დაწვრილებით შეეხო პარტიული კონტროლის ამოცანებს, ამასთან ხაზგასმით აღნიშნა: ცენტრალური კომიტეტი მოითხოვს, რომ კონტროლი ვრცელდებოდეს ყველა თანამდებობის პირზე, ყველა კომუნისტზე, და თავად გვიჩვენებს ასეთი კონტროლის მაგალითს. თუ თითოეული პირველადი პარტიული ორგანიზაცია მთელი სისრულით გამოიყენებს სკკპ წესდებით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებას, პარტიული კონტროლი ნამდვილად მასობრივი, ყოვლისმომცველი და უფრო ქმედითი გახდება.

მომხსენებელმა სხდომას გააცნო სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის მუშაობა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის მოთხოვნათა შესაბამისად პარტიული კონტროლის ორგანოები გარდაქმნილ თავიანთ საქმიანობას, აძლიერებენ ბრძოლას სკკპ პროგრამისა და ფესვდების, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის, კომუნისტური მორალის ნორმების დაცვისათვის.

ვფიქრობ, თქვა შემდეგ ორატორმა, ყრილობის დელეგატები დაეთანხმებიან სკკპ წესდებაში შეტანილ წინადადებებს იმის შესახებ, რომ მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებთან, პარტიის სამმართველო და სოლქომ კომიტეტებთან არსებულ პარტიულ კომისიებს დაეერქვათ პარტიული კონტროლის კომისიები. ახალი სახელწოდება უფრო ზუსტად გამოხატავს შექმნილ პრაქტიკას, მათს საქმიანობაში ობიექტურად მიმდინარე ცვლილებებს.

ორატორი შეეხო სოციალისტური კონტროლის მთელი სისტემის კოორდინაციის საკითხს. აღინიშნა, რომ უკვე საჭირო გახდა სერიოზულად გარდავქმნათ საუწყებო კონტროლი, გავზარდოთ მისი ეფექტიანობა.

სავსებით სწორი და დროულია, თქვა ორატორმა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მოხსენებაში დაყენებულია ზნეობრივი აღზრდის, პარტიელის სპეტაკი და პატიოსანი სახისათვის ბრძოლის საკითხები. კომუნისტის მაღალი მორალური თვისებები — ეს თვისებები კი სწორედ ასეთი უნდა იყოს — ყველა პარტიული ორგანიზაციის, პარტიული კომიტეტის მუდმივი ზრუნვის საგანია. პარტიაში ერთი დისციპლინაა ყველასათვის, არავის არ უნდა ჰქონდეს განსაკუთრებული მდგომარეობის პრეტენზია.

პარტია მტკიცდება, წმენდს თავის რიგებს. მაგრამ იგი მტკიცდება უწინარეს ყოვლისა შეგნებული, შრომისმოყვარე, განათლებული ადამიანების შევსების ხარჯზე. და ჩვენი საერთო საზრუნავია გავუფრთხილდეთ პარტიული რიგების სიწმინდეს.

ჩვენ მთლიანად ვუეერთდებით უკვე გამოსული დელეგატების წინადადებებს, რომ სრულად მოვიწონოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენების დებულებები და დასკვნები, განაცხადა ლიტვის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **პ. პ. გრიშკევიჩუსმა.**

სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებათა სასიკეთო გავლენა უკვე ყველგან ნათლად ჩანს. ჩვენს რესპუბლიკაშიც მტკიცდება დისციპლინა, ძლიერდება მომთხოვნელობა, იზრდება ყველა სამეფოში მშრომელთა მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობისა და დაინტერესების გრძნობა. ამის მეოხებით შესაჩნევად დაჩქარდა ეკონომიკური და სოციალური განვითარების ტემპი.

როგორც პოლიტიკურ მოხსენებაში აღინიშნა, დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლის სოციალურ გარდაქმნას. ამას ახმარს თავის მეცადინეობას რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციაც. ახლა უკვე ყველა მეურნეობას აქვს სკოლები, მოაზროვნები და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების პუნქტები, დიდ უმრავლესობას — მეურნეობათა 95 პროცენტს— საბავშვო ბაღ-ბაღები და სასადილოები, კულტურის სახლები. ამის მეოხებით ხუთწლედის განმავლობაში რამდენადმე გაიზარდა სოფლის მეურნეობაში მომუშავეთა რიცხვი, ახალგაზრდებისა კი — 33 პროცენტით.

ერთი სიტყვით, ისევე როგორც მთელ ქვეყანაში, რესპუბლიკაში უკვე ხდება დადებითი ცვლილებანი, რომლებიც ოპტიმიზმს გვმატებს, მაგრამ ვთვალისწინებთ, რომ ვიმყოფებით მხოლოდ გზის დასაწყისში, რომელიც ჯერ კიდევ უნდა გავიაროთ. ჯერჯერობით ვერ მივაღწიეთ, რომ რიტმულად მუშაობდეს თითოეული შრომითი კოლექტივი და ყოველი მათგანი უფუოდ ასრულებდეს სახელმწიფო გეგმებს, განსაკუთრებით ხელშეკრულების მიხედვით პროდუქციის მიწოდების გათვალისწინებით. მთლიანად ვერ ვიყენებთ მოქმედ საწარმოო სიმძლავრეებს.

წარმოებასთან მეცნიერების შეერთების ეფექტიანი ფორმა გაჩდგა სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებანი. მაგრამ ზოგიერთი საკავშირო სამინისტრო კვლავ უგულებელყოფს ამ ფორმას, თქვა ორატორმა. ვილნიუსში არსებითად ერთ ჭერქვეშ არიან ბალახისა და ნამჯის გადასამუშავებელი მანქანების მეთაური ინსტიტუტი და ლიტვის საწარმოო გაერთიანება „ნერისი“, რომელიც უშვებს ამ მანქანებს. ორივე ექვემდებარება სსრ კავშირის მეცხოველეობისა და საკვებწარმოების მანქანათმშენებლობის სამინისტროს, მაგრამ ცალ-ცალკე არსებობენ და ცუდად მუშაობენ. ბოლო ათი წლის განმავლობაში ამ ინსტიტუტმა შეასრულა 4 მილიონი მანეთის სამუშაოები, რომლებსაც არანაირი პრაქტიკული გამოყენება არა აქვთ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, კოლექტივი ფუჭად მუშაობდა. საწარმოო გაერთიანება „ნერისი“ კი უშვებს მოძველებულ აგრეგატებს ვიტამინიანი ბალახის ფხვნილის წარმოებისათვის, დიდ და ენერგოტევად მანქანებს. მოთხოვნილება ამ ტექნიკაზე შემცირდა, საწარმოს სიმძლავრეებს მთლიანად ვერ ვიყენებთ. წინადადება წამოვაყენეთ ამ ორი კოლექტივის ბაზაზე შექმნილიყო სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება, მაგრამ მეცხოველეობისა და საკვებწარმოების მანქანათმშენებლობის სამინისტროს ხელმძღვანელებმა ამ წინადადებაზე არც კი გვიპასუხეს.

უწინდებურად თავს იჩენს უწყებრივი ბარიერებიც. უკვე 20 წელია პრაქტიკულად არ ახლდება აკადემიური ძაფის ასორტიმენტი სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტროს კაუნასის ხელოვნური ბოჭკოს ქარხანაში. ამ მიზეზით რესპუბლიკის აბრეშუმის მრეწველობა, აგრეთვე ამ ქვადარგის მთელი რიგი სხვა საწარმოები ქვეყნის სხვა რეგიონებში იძულებული არიან გამოუშვან ქსოვილები, რომლებზეც დიდი ხანია ალარ არის მოთხოვნა. ჩვენ არაერთხელ დაგვისვამს საკითხი სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტროსა და მრეწველობის სამინისტროს ხელმძღვანელების წინაშე, მაგრამ ამ ქარხნის რეკონსტრუქცია არ არის გათვალისწინებული მეთორმეტე ხუთწლედისათვის.

მეთერთმეტე ხუთწლედის ამოცანები რესპუბლიკამ ძირითადად შეასრულა. ლიტვის ეროვნული შემოსავალი ხუთწლეულის განმავლობაში 25,4 პროცენტით გაიზარდა, მაშინ როცა გეგმით გათვალისწინებული იყო 17 პროცენტი. გადიდდა მრეწველობის პროდუქციის მოცულობა, გადაჭარბებით შესრულდა შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალება.

ყოველი დღე და ყოველი თვე დამაჯერებლად გვიდასტურებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის კურსის ცხოველმყოფელობასა და ნაყოფიერებას, თქვა დასასრულ პ. პ. გრიშკევიჩუსმა. ეს ერთადერთი სწორი კურსია და იგი მტკიცედ და თანამიმდევრულად უნდა გავატაროთ.

ვოლგის მსუბუქი ავტომობილების წარმოების გაერთიანების „ავტოვაზის“ გენერალურმა დირექტორმა **ვ. ი.

ყრილობის დღიური

(გაგრძელება)

მხოლოდ მუშათა კლასის და ხალხის მასების ბრძოლის შეოხებით ჩაიფუშა მრავალრიცხოვანი გეგმები, რომლებიც, რომ განხორციელებულიყო, მთლიანად მოსპობდნენ დემოკრატიულ წყობილებას. პრეზიდენტის ამასწინანდელი არჩევნების მიმდინარეობამ, კერძოდ, ცხადყო, რომ ჩვენს ქვეყანაში პრობლემების დემოკრატიული გადაწყვეტა უკვე შეუძლებელია კომპარტიის გარეშე და მით უმეტეს კომპარტიის საწინააღმდეგოდ.

დღეს გვინდა ყველა საბჭოთა ამხანაგს ვუთხრათ, თქვა დასასრულ ა. კუნაევმა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხალხი მუდამ სოლიდარობენენ პორტუგალიის კომპარტიასა და ჩემი ქვეყნის ხალხს, და ასევე საბჭოთა კავშირის კომუნისტებს, ყველა მშრომელს შეუძლიათ იქონინონ პორტუგალიელი კომუნისტების სოლიდარობის იმედი.

ყრილობაზე გამოვიდა კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ადმინისტრაციული საბჭოს პრემიერი **კან სენ სანი**, რომელსაც გულთბილად შეხვდნენ შეკრებილნი. მან წაიკითხა კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმება, რომელშიც ნათქვამია, რომ ყრილობა, როგორც საბჭოთა ხალხის, ისე პროგრესული კაცობრიობის დიდ ყურადღებას იპყრობს და იმედებს უსახავს მათ.

სკკპ XXVII ყრილობა, აღნიშნულია მისალმებაში, სიამაყით შეაჯამებს იმ უდიდესი წარმატებების შედეგებს, რომლებიც მოიპოვა საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ, როგორც ხალხის ხელმძღვანელმა და წარმმართველმა ძალამ დიდი საბჭოთა ხალხისა, რომლის რევოლუციურ ბრძოლასა და სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის საქმეს გამარჯვების გზით მიუძღვება.

დიდი ლენინის მიერ შექმნილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია სახელოვანი პარტიაა, რომელმაც დიდი ღვაწლი დასდო საერთაშორისო მუშათა კლასისა და შსოფლიოს ჩაგრული ხალხების განთავისუფლების დიად საქმეს. მან პირველად მსოფლიოს ისტორიაში შექმნა ახალი ერა, კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე ისტორიული გადასვლის ერა, კაპიტალისტური გარემოცვის პირობებში გაკვალა სოციალიზმის მშენებლობის უკალი გზა, იხსნა კაცობრიობა ფაშიზმის საფრთხისაგან, უზრუნველყო სოციალიზმის მსოფლიო სისტემის ჩამოყალიბება.

საბჭოთა ხალხმა ბრძოლის ხანგრძლივი და ძნელი გზა გაიარა, ყოველ ნაბიჯზე ფუშავდა იმპერიალიზმის გაერთიანებული ძალების აგრესიულ მოქმედებასა და განუწყვეტელ ძირგამომთხრელ მაქინაციებს. ამ სახელოვანი ბრძოლის ხელმძღვანელობის დროს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია გამოიწრთო იდეურად და ორგანიზაციულად; შეიძინა დიდი გამოცდილება.

ახლა საბჭოთა ხალხი სკკპ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით არნახულ სიმაღლეებს აღწევს სოციალიზმის სრულყოფისათვის, კომუნიზმისათვის ბრძოლაში.

შემდეგ მისალმებაში აღნიშნულია: დღეს საბჭოთა კავშირში სულ უფრო მტკიცდება დისციპლინა და წესრიგი სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, იზრდება ადამიანის ფაქტორი სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, ჩქარდება მეცხიერულ-ტექნიკური პროგრესი და შეინიშნება ახალი ცვლილებები სოციალისტურ საშეურნეო შენებლობაში. კორეის შრომის პარტია და კორეელი ხალხი გულწრფელად ხარობენ მომძე საბჭოთა ხალხის წარმატებებით, რომელსაც აღწევს იგი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით. და ეს მიღწევები მათ ფრთებს ასხამს.

თავისი მზარდი ძლიერების, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის აქტიური და თანამიმდევრული სამშვიდობო ინიციატივების და მეცადინეობის მეოხებით, რომლებიც დაფუძნებულია ლენინური საგარეო პოლიტიკის პრინციპებზე, აღნიშნულია მისალმებაში, საბჭოთა კავშირი ამჟამად მშვიდობის მძლავრი ბურჯია მთელ მსოფლიოში. ჟენევის უმაღლესი დონის შეხვედრაზე საბჭოთა კავშირის პოზიცია და ამხ. მ. ს. გორბაჩოვის 15 იანვრის განცხადება მნიშვნელოვანი ნაბიჯებია, რომლებიც კოსმოსის მილიტარიზაციის თავიდან აცილების, სრული ბირთვული განიარაღების განხორციელებისა და მუდმივი მშვიდობის უზრუნველყოფის რეალურ შესაძლებლობებს ქმნიან. მათ აქტიურად უჭირან მხარს მშვიდობისმოყვარე ხალხები.

კორეის შრომის პარტია და კორეელი ხალხი, ხაზგასმულია მისალმებაში, უაღრესად უფრთხილდებიან ტრადიციულ კორეა-საბჭოთა კავშირის მეგობრობას. მისალმებაში გამოხატულია მადლიერება საბჭოთა კავშირისადმი ნოლდარობის გამო, რომელსაც უწევს იგი კორეელ ხალხს ქვეყნის მშვიდობიანი გაერთიანებისათვის ბრძოლაში.

მისალმების დასასრულ აღნიშნულია: დაუცხრომლად ვავითარებდეთ და განვამტკიცებდეთ საერთო მიზნებისა და იდეალების განხორციელებისათვის ხანგრძლივ ბრძოლაში ნაწრთობ კორეა-საბჭოთა კავშირის ურღვევ მეგობრობას, ჩვენი პარტიის ურყევი პოზიციაა.

ყრილობას, საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა ხალხს, იუგოსლავიის კომუნისტების, ყველა მშრომელის სახელით მიესალმა იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის მდივანი **დიმჩე ბელოვსკი**, რომელსაც გულთბილად შეხვდნენ შეკრებილნი. მან აღნიშნა, რომ მისი ქვეყნის კომუნისტები, მთელი ხალხი დიდი ყურადღებით ადევნებენ თვალს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, სსრ კავშირის მშრომელთა საქმიანობას, რომლებიც წყვეტენ ეპოქის მიერ დასახულ მასშტაბურ ამოცანებს. ორატორმა მაღალი შეფასება მისცა სოციალიზმის თეორიისა და პრაქტიკის გამდიდრებისათვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საქმიანობის მნიშვნელობას.

იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის დელეგაციის ხელმძღვანელმა ილაპარაკა იმის შესახებ, თუ რა უდიდესი პატივისცემით მიიღეს იუგოსლავიაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის სამშვიდობო ინიციატივები, რომლებიც კაცობრიობას ომის საშიშროების თავიდან აცილების გზას უსახავს.

სოციალიზმის მიმზიდველი ძალა, მისი ისტორიული პროგრესულობა იმით აიხსნება, რომ იგი სოციალური და ეროვნული განთავისუფლების ახალ სივრცეებს გადაგვიშლის, ახორციელებს დემოკრატიას ყველა მშრომელისათვის, ხელს უწყობს ხალხთა შორის თანამშრომლობის განმტკიცებას და პლანეტაზე მშვიდობის უზრუნველყოფას, თქვა ორატორმა. სოციალიზმის აზრი ის არის, რომ განუწყვეტლივ მივისწრაფოდეთ ადამიანის თავისუფლებისა და კეთილდღეობის აუთვისებელი მიჯნებისაკენ. მისი ძალა მუშებისა და მათი ორგანიზაციების გაერთიანება. მის ცხოველუნარიანობას საფუძვლად უდევს მუდმივი ცვლილებები და სრულყოფა.

დ. ბელოვსკიმ ილაპარაკა იუგოსლავიის კომუნისტთა მეცადინეობაზე, რომლებიც რიულ საერთაშორისო ვითარებაში იბრძვიან თავიანთი ქვეყნის შემდგომი განვითარებისათვის, მისი ყველა ერისა და ეროვნებების აყვავებისათვის. იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირი თვის მეცადინეობას ეგებება და ენერგიას აბამს ქვეყნის დინამიკური განვითარების მიღწევას, პლანეტაზე მშვიდობის განმტკიცებას. მიუმხრობლობის პოლიტიკა, თქვა მან, ჩვენი გრძელვადიანი ორიენტაციაა საერთაშორისო თვალსაზრისით. იგი ფართო შესაძლებლობებს ქმნის იმისთვის, რომ იუგოსლავიამ წვლილი შეიტანოს ქვეყნად მშვიდობის, უშიშროებისა და თანასწორუფლებიანობის დამკვიდრებაში.

ჩვენ მუდამ მიგვაჩნდა და მიგვაჩნია, ხაზგასმით აღნიშნა ორატორმა, რომ იუგოსლავია-საბჭოთა კავშირის მეგობრული ურთიერთობისა და თანასწორუფლებიანი ყოველმხრივი თანამშრომლობის განვითარება შეესაბამება ჩვენი ქვეყნებისა და ხალხების ინტერესებს, მშვიდობისა და ურთიერთგაგების ინტერესებს. ჩვენს თანამშრომლობას საფუძველი ჩაეყარა ფაშიზმის წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლაში, მისი პრინციპული საფუძვლები განმტკიცებულია ერთობლივად შემუშავებული დოკუმენტებით. დარწმუნებული ვართ ყველა პირობაა იმისა, რომ ურთიერთპატივისცემისა და თანასწორუფლებიანობის პრინციპების დაცვით კვლავაც ფართოდ განვითაროთ ჩვენი თანამშრომლობა და მეგობრობა. ამით დიდად შეიმუშაობთ ხელს მშვიდობისათვის, ეკონომიკური განვითარებისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში მუშათა კლასისა და მთელი კაცობრობის უმაღლესი იდეალების განხორციელებას.

ამით საღამოს სხდომა დამთავრდა. (საკდესი).

28 თებერვლის დილის სხდომა

დილის 10 საათზე პირველი გამოვიდა სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე **ვ. მ. ჩებრიკოვი.**

პოლიტიკურ მოხსენებაში, რომელიც გაკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა, დასახულია ისტორიული მასშტაბის მოქმედების პროგრამა, თქვა მან, ხორცშესხმულია ცოცხალი პარტიული აზრი, რომელიც ისახავს ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებებით გამოწვეულ კომუნისტების, შრომითი კოლექტივების საბრძოლო შემოქმედებითის განწყობილებას. მოხსენება გამორჩეული საკითხთა გაბედული დაყენებით. მათი გადაწყვეტისადმი ნოვატორული მიდგომით, გამსჭვალულია ზრუნვით საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობისათვის.

საბჭოთა ჩეკისტები, მესაზღვრე მეომრები ერთსულოვნად და მხურვალედ უჭერენ მხარს პოლიტიკური მოხსენების დებულებებსა და დასკვნებს, პარტიის სტრატეგიულ კურსს, რომელსაც მივყავართ დიადი მიზნისაკენ — კომუნიზმისაკენ.

მშვიდობის საქმის უდიდეს ერთგულებას, თქვა შემდეგ ორატორმა, დამაჯერებლად მოწმობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის განცხადებაში ჩამოყალიბებული ფართო მასშტაბის სამშვიდობო ინიციატივების კომპლექსი და საერთაშორისო უშიშრობის ყოვლისმომცველი სისტემის შექმნის პრინციპული საფუძვლები, რომლებიც მოცემულია მოხსენებაში.

სამწუხაროდ, წამყვანი იმპერიალისტური სახელმწიფოები არ ავლენენ მზადყოფნას შეაჩერონ გამალებული მეთაოლება, კვლავ ახორციელებენ პოლიტიკას ძალის პოზიციიდან. აღნიშნული კურსის ღერძია აშკარა ანტისაბჭოურობა, სსრ კავშირთან შედარებით სამხედრო უპირატესობის მისაღწევად გზების გაფაციცებით ძიება. და ამაში ტონის მომცემია ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია. ვაშინგტონი კვლავ ერევა სუვერენულ სახელმწიფოთა საქმეებში, ადგას სახელმწიფო ტერორიზმის პოლიტიკას. ამ კურსის პრაქტიკულ განხორციელებაში განსაკუთრებული როლი ეჭიჭებით ამერიკის სპეცსამსახურებს, რომელთა საქმიანობაში სულ უფრო მეტ ადგილს იკავებს პოლიტიკური და შეიარაღებული პროვოკაციები, იდეოლოგიური და ეკონომიკური დივერსიები. იმპერიალისტური სახელმწიფოების დაზვერვები, საზღვარგარეთის სხვადასხვა ძირგამომთხრელი ცენტრებისა და ორგანიზაციების მისწრაფებათა ობიექტია საბჭოთა კავშირი და სხვა სოციალისტური ქვეყნები. ჩვენს მტრებს უარი არ უთქვამთ განზრახვაზე მოსპონ სოციალიზმი, როგორც საზოგადოებრივი სისტემა. ამერიკის შეერთებული შტატების, ნატოს მთელი რიგი სხვა ქვეყნების სპეცსამსახურები დაეჭიხებით ცდილობენ ჩირქი მოსცხონ სსრ კავშირის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, განახორციელონ საბჭოთა ეკონომიკის ძირგამოთხრის აქციები. ისინი ცდილობენ ხელი იგდონ ჩვენი პოლიტიკური, სამხედრო, ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური საიდუმლოებანი, შეაღწიონ სახელმწიფო დაწესებულებებში, დიდმნიშვნელოვან თავდაცვის ობიექტებსა და სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტებში.

იყენებენ რა საერთაშორისო ურთიერთობის გაფართოებას, იმპერიალისტური დაზვერვები ჩვენს საზოგადოებაში ეძებენ სოციალურად დადაგვარებულ, პოლიტიკურად მოუწყობელ და მორალურად გაბრუნილ ადამიანებს, თანამდებობის პირთა მოსყიდვის გზით ცდილობენ მიიღონ მათგან ინფორმაცია, რომელიც სახელმწიფო ან სამსახურებრივ საიდუმლოებას წარმოადგენს.

ბოლო დროს ზოგიერთ სამინისტროსა და უწყებაში ამხილეს იმპერიალისტურ დაზვერვათა ბევრი აგენტი, გარეწრები, რომლებმაც საზღვარგარეთის ორგანიზაციებს მიაყიდეს დიდმნიშვნელოვანი სამსახურებრივი საიდუმლოებანი. აღნიშნული პირები, რომლებიც სახელმწიფო დანაშაულთა ჩადენის გზას დაადგნენ, კანონის შესაბამისად მკაცრად, მაგრამ სამართლიანად დაისჯნენ. ასეთი აღსასრული ელის ყველას, ვინც უღალატებს სამშობლოს ინტერესებს.

როგორც ცნობილია, თქვა შემდეგ ორატორმა, სოციალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში იმპერიალიზმი მნიშვნელოვან როლს ანიჭებს იდეოლოგიურ დივერსიას. სოციალიზმის მოწინააღმდეგეებს სურთ შეარყიონ მშრომელთა შეკავშირება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გარშემო, დაარღვიონ საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, ჩვენი ქვეყნის ხალხთა ძმური მეგობრობა. იდეოლოგიური დივერსიის მიზანია მტრული გავლენა მოახდინოს საბჭოთა ადამიანების შეხედულებებსა და განწყობილებებზე, ძირი გამოუთხაროს კომუნისტური იდეალებისადმი მათს რწმენას და საბოლოოდ ანგარიშით სოციალიზმის მტრად აქციოს ისინი. ამაო ცდებიან! მაგრამ ამ მისწრაფებების უგულებელყოფა არ შეიძლება.

მტრული მოქმედების წინააღმდეგ ბრძოლის ინტერესები მოითხოვს ავრეთვე კომუნისტების, ყველა საბჭოთა ადამიანის სიფხიზლის გაძლიერებას, შეურიგებელ დამოკიდებულებას ყოველგვარი იდეოლოგიურად მავნე გამოვლინებისადმი, ყოველგვარი მერყეობისადმი, რამაც შეიძლება ხელი შეუწყოს კლასობრივი მტრის ცდების შეასუსტოს საბჭოთა საზოგადოების სიმტკიცე. ისინი მოითხოვენ იდეოლოგიური მუშაობის ქმედითობის შემდგომ გადიდებას, იმას, რომ ყოველდღიურად ვუნერგავდეთ საბჭოთა ადამიანებს კომუნისტური იდეალების უსაზღვრო ერთგულებას, სამშობლოს სიყვარულს, საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნის, გერბისა და დროშის ღრმა პატივისცემას, ყოველივე იმის ღრმა პატივისცემას, რაც ჩვენი ხალხის უკვდავი გმირობის სიმბოლოა. განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა ვუთმობდეთ ახალგაზრდობის აღზრდას. აქ დიდი მუშაობა მართებთ პარტიულ, კომკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, ამ მუშაობაში უფრო მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლიათ კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეებს.

დასავლეთის გარკვეული წრეები, თქვა შემდეგ ორატორმა, მუდამ ავრცელებენ ჭორებს, თითქოს საბჭოთა კავშირში ირღვევიდეს ადამიანის პოლიტიკური და პირადი უფლებები და თავისუფლებები. ყოველივე ამის მიზანია გაალვიოვონ საბჭოთა მოქალაქეების რიგებიდან გამოსული ცალეული გარეწრების ანტისაზოგადოებრივი მისწრაფებები, უბიძგონ მათ უშუალო მტრული მოქმედებისაკენ. ქება-დიდებას ასხამენ ყველას, ვინც ილაშქრებს სოციალიზმის წინააღმდეგ. მაშ, რა უფლებებს მოითხოვენ მათთვის დასავლელი დამცველები; ისინი იღვწიან, რომ მათ მიეცეს უფლება დაუსჯელად დაარღვიონ ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს კანონები, მაგრამ ასეთ უფლებას ჩვენ არასოდეს და არავის არ მივცემთ.

ჩვენს ქვეყანაში შექმნილია და მოქმედებს ორგანიზაციულ-პოლიტიკური, სამართლებრივი, აღმზრდელობითი და სხვა ღონისძიებების საერთო-სახელმწიფო სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს საბჭოთა სახელმწიფოსა და საზოგადოების უშიშრობას და იცავს მათ იმპერიალიზმის ძირგამომთხრელი ხრიკებისაგან. ამ სისტემაში დიდმნიშვნელოვანი ადგილი უკავია სახელმწიფო უშიშროების კომიტეტს ორგანოების საქმიანობას, რომელიც ემყარება ისეთ ფუძემდებელ ლენინურ პრინციპებს, როგორიც არის პარტიის ხელმძღვანელობა, მასებთან ურღვევი კავშირი, სოციალისტური კანონიერების მკაცრი დაცვა. ისინი მუშაობენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, მუდამ იბრძვიან იმპერიალისტური სპეცსამსახურების ხრიკების წინააღმდეგ, ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა საიმედოდ უზრუნველყონ სამშობლოს უშიშროება. ჩვენი სამშობლოს წმიდათაწმინდა საზღვრების ხელშეუხებლობის უზრუნველყოფაში განსაკუთრებულ როლს ასრულებენ სასაზღვრო ჯარები. მესაზღვრე მეომრები ფხიზლად, თავდადებით მსახურობენ, ყოველთვის მზად არიან საკადრისი პასუხი გასცენ ნებისმიერ აგრესორს.

ვითვალისწინებთ იმას, რომ ჩვენს ქვეყანაში არ არის სახელმწიფო დანაშაულთა ჩადენის სოციალური ბაზა, და ძირითად საქმიანობას მივმართავთ უწინარეს ყოვლისა ყოველგვარი დანაშაულებრივი აქციების აღსაკვეთად, რომლებსაც გარეთან აბორიგიელენ და წარმართავენ. ჩვენი სახელმწიფო უშიშრობის ორგანოები, იმპერიალისტურ სახელმწიფოთა სპეცსამსახურებისაგან განსხვავებით, არ დგანან ხალხზე მაღლა, ისინი ყოველთვის იყვნენ და არიან საბჭოთა ხალხის ბორცი ხორცთაგანი. ამიტომ სახელმწიფო უშიშროების უზრუნველყოფის ამოცანა მთელი საზოგადოების, თითოეული საბჭოთა მოქალაქის საქმეა. ჩვენ ნიადაგ ვესწრაფვით იმას, რომ ჩვენი ურთიერთობა მშრომელებთან მტკიცდებოდეს და ფართოვდებოდეს, რომ ჩვენი მოქმედება ესმოდეთ საბჭოთა ადამიანებს, მათს მოწონებას და სრულ მხარდაჭერას იმსახურებდეს.

ყრილობის მასალებს რესპუბლიკის კომუნისტები, მშრომელები უდიდესი ინტერესითა და ღრმა ყურადღებით შეხვდნენ, თქვა ყირგიზეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ა. მ. მასალიევმა.** მან განაცხადა, რომ ყირგიზეთის კომუნისტთა წარმოგზავნილ ე ბ ი ყველა დელეგატთან ერთად მთლიანად და სავსებით იწონებენ პარტიის ჰუმანურ საშინაო და საგარეო პოლიტიკას, მისი პროგრამის ახალ რედაქციას, პოლიტიკურ მოხსენებას ყრილობისადმი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნაყოფიერ ნოვატორულ საქმიანობას.

მოხსენებაში სამართლიანად იყო გაკრიტიკებული ყირგიზეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საქმიანობის სერიოზული ნაკლოვანებანი. ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობის მიზეზით დაკნინებული იყო პლენუმების, ბიუროსა და სამდივნოს როლი, ირღვეოდა საკადრო პოლიტიკის, მუშაობაში კოლეგიალობის ლენინური პრინციპები. ხშირად პასუხსაგებ პოსტებზე ადამიანებს აწინაურებდნენ პირადი ერთგულების, ნათესაობისა და კუთხურობის ნიშნების მიხედვით. ზოგიერთ სუსტ და არაკეთილსინდისიერ მუშაკს იცავდნენ, გადაჰყავდათ ისინი ერთი საკადრიდან მეორეში. ეს წარმოშობდა მლიქვნელობას, ფარისევლობას და უპასუხისმგებლობას.

ყოველივე ეს შესაძლებელი გახდა იმიტომ, რომ ცენტრალური კომიტეტის ბიუროში არ იყო პრინციპული პარტიული კრიტიკა და თვითკრიტიკა, მდივნები და ბიუროს წევრები ხშირად ხასიათს უწყობდნენ ცენტრალური კომიტეტის ყოფილ პირველ მდივანს. საჭირო გახდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ჩარევა შექმნილი არანორმალური მდგომარეობის გამოსასწორებლად.

ამავე დროს, აღნიშნა ორატორმა, სკკპ ცენტრალურ კომიტეტში დიდხანს მოღიოდა სიგნალები რესპუბლიკაში ბოროტმქმედებათა და დარღვევათა შესახებ. ბევრ მათგანს, მათ შორის იმათაც, რესპუბლიკის კომპარტიისა. ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობას რომ აკრიტიკებდა, უშუალოდ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამბარტი არ ამოწმებდა და უგზავნიდა ყირგიზეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს.

მანკიერმა სტილმა, დამახინჯებებმა კადრების შერჩევასა და განაწილებაში, იმან, რომ სიტყვა და საქმე ერთმანეთს სცილდებოდა, სერიოზული ზიანი მიაყენა ადამიანების აღზრდას. მთელი რიგი იდეოლოგიური დაწესებულებების ხელმძღვანელები, პარტიული კომიტეტების ,მათ შორის ცენტრალური კომიტეტის ზოგიერთი მდივანი, განთავისუფლდნენ სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისა და მუშაობის ნაკლოვანებებისათვის.

დაშვებული შეცდომებიდან გამოგვაქვს გაკვეთილები, პრაქტიკული დასკვნები. ყირგიზეთის კომპარტიის XVIII ყრილობაზე გაიმართა გულახდილი და პირუთვნელი სჯა-ბაასი დარღვევათა მიზეზებზე. კომუნისტებმა მწვავე შეფასება მისცეს ნეგატიურ ფაქტებს. აღინიშნა, რომ ეკონომიკის წამყვანი დარგები ნელა გადადის განვითარების ინტენსიურ გზაზე. საცხოვრებელი სახლების, სკოლამდელი და სამედიცინო დაწესებულებების ამოქმედების დაგალებებს შლიდნენ, უგულგმო და „პრესტიჟულ“ ობიექტებს კი აშენებდნენ, თანაც— მნიშვნელოვანი ზედმეტობებით.

ამჟამად ბევრი მნიშვნელოვანი უბანი განმტკიცებულია კადრებით. ყირგიზეთის კომპარტიის ყრილობის გადაწყვეტილებანი, მომდინარე გარდაქმნები მშრომელთა საყოველთაო მოწონებას იწვევს. ისინი ამას გვაყოფინებენ ბევრ წერილებში, განცხადებებში, პრესით.

შეგიბეული გვაქვს, რომ ეს დიდი მუშაობის მხოლოდ დასაწყისია. საჭირო იქნება დიდი მეცადინეობა, რათა მართვის ყველა ეშელონში აღმოვფხვრათ პარადულობა, გულარხეინობა, ჩინმოთნეობა, დავამკვიდროთ გერგილიანობის ვითარება.

ამასთან დაკავშირებით უაღრესად სწორად მიგვაჩნია სკკპ წესდების დებულებანი შინაპარტიული დემოკრატიის, პრინციპული კრიტიკისა და თვითკრიტიკის შემდგომი განვითარების, როგორც ზემოდან, ისე ქვემოდან ხელმძღვანელი კადრების მუშაობისადმი კონტროლის გაძლიერების საჭიროების შესახებ.

ორატორმა გამოთქვა სურვილი, რომ ადგილებზე საქმის ვითარების უფრო ღრმა შესწავლის, ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციებისათვის პრაქტიკული დახმარების გაწევის, ცენტრალური ორგანოების საქმიანობის შესახებ მათი უშუალო ინფორმირების მიზნით მიზანშეწონილი იქნება სისტემაში დავამკვიდროთ ის, რომ რესპუბლიკებში, მხარეებში, ოლქებში რეგულარულად ჩამოდიოდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები, მდივნები, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, სამინისტოებისა და უწყებების ხელმძღვანელი მუშაკები.

რესპუბლიკა ზრდის წვლილს ქვეყნის ეკონომიკაში. ამასთან ორატორმა აღნიშნა, რომ მისი საწარმოო პოტენციალი, მდიდარი ბუნებრივი რესურსები მოლიანად როდია გამოყენებული. მან მოიყვანა ნაკლოვანებათა კონკრეტული მაგალითები, რომლებიც ხდება მართვის ადგილობრივი ორგანოების მიზეზით, აგრეთვე მთელი რიგი ცენტრალური ორგანოების, მათ შორის სსრ კავშირის ენერგეტიკის სამინისტროს, ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს, ფერადი მეტალურგიის სამინისტროს, მშენებლობის სამინისტროს, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის სუსტი დაინტერესების შედეგად.

გამოსვლაში ორატორმა დიდი ადგილი დაუთმო მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის პრობლემებს.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

დღეს ფეხბურთია

სტატისტიკა 49-ე საკავ. ჩემპიონატი

ზირო ჩემპიონატი

წელს 50 წელი სრულდება მას შემდეგ, რაც უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატები და თასის გათამაშებანი იმართება. ამ ხნის მანძილზე ერთი შემოხვევაც არ ყოფილა, რომ თბილისის „დინამოს“ დაბალ ლიგაში გადაეწაცვლებინოს. რაც შეეხება ქუთაისის „ტორპედოს“, იგი უმაღლეს ლიგაში შედარებით ძოგვიანებით გამოჩნდა. ჩვენი რესპუბლიკის ფეხბურთის ქომაგები მუდამ ერთგულები იყვნენ თავიანთი გუნდებისა და მათი წარმატება თუ დროებითი ჩამორჩენა ყოველთვის გულთან ახლოს მიჰქონდათ, ნიადაგ მხარში ედგნენ საქართველოს ამერ-იმერის საუკეთესო ორ კოლექტივს — თბილისის „დინამოსა“ და ქუთაისის „ტორპედოს“.

და აი, კვლავ ფეხბურთია დღის წესრიგში — დიდი ფეხბურთის ახალი სეზონის პირველი დღე! ისევე, როგორც წარსულ წლებში, დღესაც ტრადიციულად საზეიმო ვითარებაში გაიხსნება უმაღლესი ლიგის გუნდების რიგით 49-ე საკავშირო ჩემპიონატი.

წლევანდელი საფეხბურთო სეზონი ხომ მართლაც განსაკუთრებულია: 31 მაისს მექსიკაში დაიწყება მსოფლიო ჩემპიონატი, ხოლო 29 ივნისს მეხიკის „აცტეკის“ სტადიონი ფინალური მატჩის შემდეგ გაგვაცნობს პლანეტის საუკეთესო გუნდს.

ერთი შეხედვით, ქვეყნის ჩემპიონატი დედამიწის საუკეთესო გუნდის გამოვლენისათვის შეიარაღებასთან შედარებით ლოკალურია, მაგრამ როგორც ერთისგან, ისე მეორისგან ფეხბურთის საბჭოთა მოყვარულები ყოველთვის ელოდნენ და ახლაც ელიან ,ამ დიდებულ თამაშში ახალი ტენდენციების გამოვლენას, საკლუბო თუ ნაკრები გუნდების თამაშის საკუთარი ხელწერის მნიშვნელოვნად გაფუძვრობესებას. ცხადია, ყოველივე ამას გარკვეული კვალის დატოვება შეუძლია ფეხბურთის თვისებრივ ეფოლუციაშიც. ამიტომაც, უმეტესწილად სწორედ ის გუნდები აღწევდნენ საგულისხმო წარმატებებს, რომლებიც ნიადაგ სიახლეთა ძიებაში იყვნენ, სხვათა გამოცდილებასაც იზიარებდნენ და, რაც მთავარია, ყოველივე ამას საკუთარ შესაძლებლობებს შეუმცდარად უხამებდნენ. განა ამის დასტური არ იყო, როცა თავის დროზე თბილისის „დინამო“ ერთხანს დაქვეითებული თამაშის შემდეგ ჩემპიონიც გახდა, ორჯერ ქვეყნის თასის მფლობელი და ევროპის თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში გამარჯვებულიც; და ამასთან ერთად რამდენიმე-გზის პრიზიორიც. შემდეგ? შემდეგ კი რამდენადმე გაუფერულდა მისი თამაში. ამის თაობაზე უკვე ბევრი ითქვა და დაიწერა — სწორიც და მრუდიც ...**ქომაგებს კი მოსწყურდათ 1964, 1976, 1978 და 1981 წლების დროინდელი თბილისის „დინამოს“** ხილვა და სჯერათ: ჩვენს ფეხბურთელებს შესწევთ ძალი იმისა, რომ ბოლოს და ბოლოს აღმასვლის გზას დაადგნენ.

თბილისის „დინამოს“ და ქუთაისის „ტორპედოს“ ყველა ულოცავს ახალი სეზონის დაწყებას. დაე ეს წელი ჩვენი გუნდებისათვის გაცილებით უკეთესი მერმისის დასაწყისი, თვისებრივად სასკეთოსკენ შემობრუნებისა და, უფრო მეტიც, მნიშვნელოვან წარმატებათა მოპოვების წელიც იყოს. სწორედ ამ აზრს გამოთქვამენ რედაქციაში შემოსული წერილების ავტორები.

მაშ, ასე, დღეს ფეხბურთია: თბილისის დინამოელები მასპინძლობენ კიეველ თანაკლუბელებს! ხვალ კი ქუთაისის „ტორპედო“ მასპინძლობს მინსკის „დინამოს“! აბა, თქვენ იცით, ბიჭებო!..

ჯ. ენუქიძე.

თბილისის „დინამოს“ სავიზიტო ბარათი

გუნდის უფროსი — სპორტის დამსახურებული ოსტატი შ. ხინჩაგაშვილი.

უფროსი მწვრთნელი — სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ნ. ახალაკაი.

მწვრთნელები — საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი ა. კოტრიკაძე და სპორტის ოსტატი თ. ცერცვაძე.

მეკარეები — ა. ბალაძე (დაბადა 1960 წელს), ო. გაბელია (1953), ა. მეშკოვი (1960).

მცველები — მ. არზიანი (1964), გ. კეტაშვილი (1965), დ. კუდინოვი (1963), მ. მახარაძე (1963), ბ. მიქაბერიძე (1963), ზ. სვანაძე (1958), თ. სულაქველიძე (1956), ს. თარბა (1968), ა. ცვეიბა (1968), დ. ცომაია (1967), ა. ჩივაძე (1955), გ. ჩიხრაძე (1967), ზ. ელოევი (1964).

ნახევარმცველები — გ. გოგრიჭიანი (1964), გ. ჯოხაძე (1959), მ. ერორდანია (1960), ნ. კაკალაშვილი (1960), ე. კულიაშვილი (1968), ზ. რევაზიური (1968), გ. ცაავა (1962), ს. ჭედია (1965).

თავდამსხმელები — ვ. გაზიევი (1954), გ. გურული (1964), მ. მესხი (1961), ვ. მიქაშავიძე (1968), მ. ფანტულია (1967), ბ. თედეევი (1969), რ. ჩელებაძე (1955), გ. ჩილიგავა (1965), რ. შენგელია (1957).

რედაქტორის მოადგილე
დ. იოსელიანი.

28 თებერვალი ● საქდესი იუწყება

ეს ხოლოვითი

ფაქტებში • მოვლენებში

სკკპ XXVII ყრილობის მუშაობას მიეძღვნა

პრესკონფერენცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შტაბ-ბინაში

ნიუ-იორკი. *გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში სსრ კავშირის მუდმივმა წარმომადგენლობამ საერთაშორისო გაერთიანების შტაბ-ბინაში გამართა პრესკონფერენცია სკკპ XXVII ყრილობის მუშაობის გამო, რომელიც აქ ცხოველ ინტერესს იწვევს.* გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში აკრედიტებული პრესკორპუსის წარმომადგენლებს გააც